

140

1980

34

ISSN 0174
საქართველოს
ბიბლიოთეკის



საქართველო

1
1980



ყოველ ახალ წელს

შალვა შორაჩიძე

ყოველ ახალ წელს
ჩვენი მამული
სულ ახალ ლხინში
არის ჩართული,
სახლში შემოდის
თოვლის ბაბუა,
ქვეყნის დოვლათით
წელგამართული,
ლოცავს სამშობლოს
და არ ბერდება,
როგორც რუსთველის
სიტყვა ქართული!

ყოველ ახალ წელს
გაშლილ სუფრაზე
ბაბუა ჩვენთან
ხვდება ალიონს.
ისე არ იზამს,
ჯერ სადღეგრძელო
საქართველოსი
რომ არ დალიოს,
მერე კი თოვლში,
გახარებული,
დგას და აბოლებს
დინჯად ყალიონს...

ყოველ ახალ წელს
ახალი თოვლით,
ახალი ღვინით,
ახალი პურით,
გემოდღვრავს ბაბუა,
გვლოცავს ბაბუა:
— ბავშვებო, მტერი
რომ განყდეს შურით,
თესეთ სიკეთე
და სიყვარული,
და მხოლოდ მამულს
დაუგდეთ ყური...

ყოველ ახალ წელს
ახალი თოვლის
დიდი სინათლით
ბრწყინავს მამული,
ბაბუა ცეკვავს
ბავშვებთან ფერხულს
და ყველა ლხინში
არის ჩართული!..





❁ მუხივე საოლის მუხივეარაგველი-
 ზი მასალას ამაღლებს სტუდენტების
 „ლენინის ოცნების ზეიმული ოცნება“

მანს... მათთან მიმოწერის წყალობით ბევრი რამ გავიგე მოძმე რესპუბლიკებისა და უცხოელი პიონერების ცხოვრებაზე.

მადონა კუჭუხიძე, მე-7 საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი:

— რაზემეული ნინო ხუბულავას სახელს ატარებს. ჩვენი რაიონის მკვიდრი ნინო ხუბულავა პირველი მუხი-ნავი ქალი იყო. იგი 1935 წელს დაი-ლუპა. ხალხმა დაიტერა თავისი მამა-ცი შვილი. მისი სურათი ხალხთა მე-გობრობის მუხუემშია გამოფენილი. რაზემეულის წევრები, რომ დაწერი-ლებით გაეცნონ სახელოვანი თანა-მემამულე ქალიშვილის ცხოვრებას. დაუკავშირდნენ ნინოს დას, ყაზანში მცხოვრებ ოლია ხუბულავას. მალე ჩვენი სკოლის ეზოში დაიდგმება ნი-ნო ხუბულავას ბიუსტი.

ამას წინათ ჩავატარეთ ფესტივალი დევიზით: „დაე, მუდამ იყოს მზე“. ვუმასპინძლეთ სხვა სკოლების მოს-წავლეთა 12 დელეგაციას. მათთან ერთად დავათვალიერეთ ენგურპე-სის მშენებლობა, ზუგდიდის ღირსშე-სანიშნაობანი, ნაქალაქევი, მენჯი; გავაშენეთ მეგობრობის ხეივანი...

ეკა მანჯგალაძე, მე-7 სკოლის რაზ-მეულის საბჭოს წევრი:

— ოლეგ კომევიძის სახელობის მეშვიდე რაზმის პიონერები მასალ-ებს აგროვებენ ცხაკაიაში მცხოვრები ლენინის ორდენოსანი პედაგოგების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ისი-ნი ეწვივნენ ამჟამად პენსიონერ ლუ-ნია კეკუსაძეს, ნოსირის საშუალო სკოლის მასწავლებელ ნაზი თორდი-ას და ფრიად კმაყოფილი დარჩნენ მათთან საუბრებით.

ნინო მგალობლიშვილი, მე-2 საშუ-ალო სკოლის VII კლასის მოსწავლე:

— გამოჩენილი რევოლუციონერე-ბი, ლენინის ერთგული თანამებრძო-ლები მიხა ცხაკაია და სერგო ორჯო-ნიკიძე დიდი მეგობრები იყვნენ. ჩვენს კლასს დიდი სურვილი ჰქონდა ენახა ის მიდამო, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა სერგო ორჯონიკი-ძემ. კლასის ხელმძღვანელმა დინარა გეგენავამ ეს სურვილი შეგვისრულა. ექსკურსიით ჩავედით ხარაგაულში.

❁ სოციალისტური შრომის გმირს ნოა გაბუას ხშირად ნახავთ მე-8 სკოლის მოსწავლეთა შორის.

თი, დანიშნულებისამებრ ჩავაბარეთ დიდძალი მაკულატურა, მოვთიბეთ ტონაზე მეტი თივა.

მეგობრობა დავამყარეთ როსტო-ვის ოლქის ქალაქ ვოლგოდონსკის მეტალურგიული კომბინატის ახალ-გაზრდა მშენებლებთან. ერთ-ერთი მათგანი, ავთანდილ ხუნჯაძე ჩვენი რაზმის საპატიო პიონერად ავირჩი-ეთ, მას და მის მეგობრებს სამახსო-ვრო საჩუქრებიანი ამანათი გავუგზავ-ნეთ.

გიზო ჯოჯუა, მე-3 საშუალო სკო-ლის მესამე რაზმის საბჭოს თავმჯდო-მარე:

— ექსპედიციაში „ლენინის ოცნე-ბის გზით“ ჩემი რაზმიც აქტიურად ჩაება. გულდასმით შევისწავლეთ ვ. ი. ლენინის ბიოგრაფია; აღვრიც-ხეთ მშობლიური ქალაქის ობიექტე-ბი და გავეცანით მათს ისტორიას. შევისწავლეთ აგრეთვე ლენინის სა-

ხელობის ზემო ავჭალის პიდროელე-ქტროსადგურის — ზაქვის ისტორია. შეხვედრები მოვუწყეთ ცხაკაიაში მცხოვრებ სოციალისტური შრომის გმირს ნოე გაბუას და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ალექსანდრე გვასალიას. ისინი საინ-ტერესოდ გვესაუბრნენ თავიანთ სა-ქმიანობაზე, კოლექტიური შრომის დიდ სიკეთეზე. ვამზადებთ ლენი-ნური ადგილების ფოტოალბომს.

ლაურა შამათავა, პიონერთა სახ-ლის ინტერნაციონალური მეგობრო-ბის კლუბის წევრი:

— ჩვენს კლუბში რამდენიმე წრეა. ჩემი წრე დაყოფილია მიწერ-მოწე-რის და ნორჩ კოლექციონერთა სექ-ციებად. მე მიწერ-მოწერის სექციის წევრი ვარ. დავუმეგობრდი ბელო-რუს ეანა ბონდარჩუკს, ესტონელ იანა პეტროვას, კრასნოდარელ ნი-კოლოზ დებენს, გერმანელ ჰარი აიზ-



სტანდი „სტა პაპიჩი ჩემი საშუო-ბლოა“ ლაზარად გააფორმეს მე-7 სკოლის VII-ბ კლასელებმა.

დავათვლიერეთ ს. ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმი: ყვევლებით შევამკეთ სასიქაღლო თანამემამულის საფლავი; ჩავატარეთ რაზმის შეკრება თემაზე „ის ჩვენი ბედნიერებისათვის იღვწოდა“; გადავიღეთ სამახსოვრო სურათები.

ნ. ჭანტურია, მე-2 საშუალო სკოლის პირველკლასელი:

— ეს ბედნიერი ბავშვობა ლენინმა მოგვიტანა, — გვითხრა მასწავლებელმა. ჩვენ ბევრი ლექსი დავისწავლეთ ლენინზე, შემდეგ კი შეჯიბრება მოვაწყეთ მხატვრულ კითხვაში. ყველაზე კარგად მირანდა რობაქიძემ, ხათუნა და რევაზ გვაძაბიებმა წაიკითხეს.

შევადგინეთ ფოტოალბომი ლენინის ცხოვრების შესახებ. მასწავლებელმა მოიწონა ალბომი და საგამოფენო კუთხეში მოათავსა.

ლამარა ხარჩილავა, მე-2 საშუალო სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის ხელმძღვანელი:

— კლუბის 25-მა წევრმა მოსკოვსა და ტულაში იმოგზაურა. დაათვალიერეს დედაქალაქის ისტორიული ადგილები, იყვნენ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში, ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალურ მუზეუმში, დიდი ბელადის სახელობის ცენტრალურ



ბიბლიოთეკაში. გმირ ქალაქ ტულაში საბრძოლო ადგილები მოიარეს.

მოეწყო აგრეთვე ათდიანი მოგზაურობა ჩრდილოეთ კავკასიაში. ინახულეს პუშკინის, ლერმონტოვის, ოდოევსკის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული ადგილები, კულტურის ძეგლები. ექსკურსიების მონაწილეებმა თავიანთ დღიურებში გამოხატეს, თუ რაოდენ სასარგებლო იყო ეს მოგზაურობები.

მე-3 სკოლის ომბოგრაფთა ვარსკვლავის ხელმძღვანელი ირინე ბახტაძე მხატვრულ კითხვაში აპარჯიშხას ინგა შიტანავას.

ყოველივე შემოთქმული მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს იმ საქმიანობას, რასაც ცხაკაიელი პიონერები ეწევიან. ბეჭით სწავლასთან ერთად ისინი დაუზარებლად ეხმარებიან რაიონის კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებს სახალხო დოვლათის ზრდაში, უფროსკლასელებთან ერთად აწყობენ შაბათობებს საკოლმეურნეო ველ-მინდვრებში... მათ ბევრი საინტერესო ღონისძიების განხორციელება აქვთ განზრახული ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის. გვჯამს, ისინი პირნათელნი შეეგებებიან ამ დიდ თარიღს.

ნორჩი მხატვრები სამხატვრო სასკოლი გულმოდგინედ ეუფლებიან სახვითი ხელოვნების საფუძვლებს.



უხანაურნი საუბარნი

ღარიბხან ბრიგოლაშვილი

მხატვარი ჯამალ ლოლუა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მაშინვე ფეხაყრფით გავყევი კედელ-კედელ და სახლის კუთხეს რომ მივალწიე, შვებით ამოვისუნთქე, ვითომც აქ არაფერიო, არხეინად მივაშურე ყაზარმისკენ მიმავალ ბილიკს.

„ნეტავ ვინ უნდა იყოს? — ფიქრობდი გზადაგზა. — თუ საცხრამისოდ ომის ვეტერანთა შესახებ სკოლაში შეგროვილ ნარკვევებს ვერწმუნებით, სოფელში სულ ხუთი კაცია ასეთი, ესე იგი ტყვედ ნამყოფი: მეწისქვილე იორამა, მჭედელი ისიდორე, მონტიორი კირილე, ტყის-მცველი ტრიფონა... კიდევ... მეხუთე არ მახსოვს, მაგრამ მაგის დაზუსტებას რა უნდა... ოღონდ, მთავარია, წუთითაც არ დამავიწყდეს, რომ ეს დიდი სამხედრო საიდუმლოება!“

„ს ა ლ ა ყ ბ მ შ ი“

ფოსტა თითქმის ყოველდღე ამოაქვთ საგუმავგოზე. იშვიათად თუ მოხდება, ორი-სამი დღის ფოსტა ერთად ამოიტანონ, ნაშუადღევს ყველანი ახალი კურნალ-გაზეთებისა და უფრო კი წერილების მოლოდინით არიან შეპყრობილი. ვახტიდან ახლახან გათავისუფლებული ბიჭებიც კი, რომლებსაც დასვენება და სამიოდე საათით წაძინება ყველაფერს უნდა ერჩიოთ, ხშირად ამ სიამოვნებაზე უარს ამბობენ და ჯიუტად ელიან ვასია ზავილონის თუ ვანია პერკოვის „ვილისის“ გამოჩენას.

ჯარისკაცი ჯარისკაცად და, ამ ბოლო ხანებში მე და მამაჩემიც ნაკლები მოუთმენლობით როდი ველით ფოსტის გამოჩენას. აგერ, მესამე კვირა იწურება და დედაჩემის წერილი არ მიგვიღია. კარგი, დედაჩემმა, ვთქვათ, ვერ მოიცალა წერილის საწერად, იმ მატრაკვეცა ციციხოს რაღა მოუცლევლობა აუტყდა.

დავრეკავ ერთი ყაზარმაში, იქნებ მოსულიც იყოს ფოსტა. თუმცა ეგ კია, ჩვენი წერილი რომ ყოფილიყო, აქამდე მოარბენინებდა ვინმე. ან იქნებ მამაჩემს გადასცეს უკვე?

პირველივე ზუმერზე იღებენ ყურმილს.

— ტელეფონთან მედლეური რიგითი დოსნაზარ საიდლოვია! — მესმის ნაცნობი ხმა.

— როგორაა საქმეები უზბეკისტანში, ნაზარ? — ვეკითხება საცელით.

— ოჰ, დოსთამაზ, შენა ხარ? — იცინის დოსნაზარიც.

პირველად მართლა გამიჭირდა მაგისი სახელის დამახსოვრება და საქმე იმით გავიოლე, რომ სახელი შევუმოკლე. იმან კი, აქაოდა, სახელს მიმახინჯებენო, თავისი „დოსი“ აქვთ გადმომილოცა.

— საგუმავგოს უფროსი მანდ ხომ არ არის? — გეკითხები.

— ათიოდე წუთის წინ მოვკარი თვალი... მათი მხნეობა მოვძებნი.

— არ გინდა, მე თვითონ გამოვალ. ფოსტა არ მოსულა?

— ველოდებით.

— გამოვალ აბა!

ყურმილს ვდებ და ყაზარმისაკენ მივეშურები.

კუბასოვების სახლის აივანზე რიკულებს ამოფარებული პავკა შევნიშნე, ფუნჩულა, ლოყაწითელა ბიჭი, ჯარისკაცების პირველი მმაკაცი, რომელსაც მხარზე ერთთავად თავისი განუყრელი, წითელ-ყვითლად შეღებილი ავტომატი ჰკიდია. მართლაც კარგი რამ არის ეს ავტომატი: დააჭერ სასხლეტს თითს და ლულის წვერში ჩატანებულ ნათურა, ჯერის ხანგრძლივობისდამიხედვით, იმპულსურად იწყებს კაშკაშს. ხმა კი ისეთი აქვს, თითქოს მართლა ისვრისო უჩინარ ტყვიებს. ახლაც, დამინახა თუ არა პავკამ, ავტომატის ჯერი დამაყარა. მე მაშინვე მკერდზე ვიტაცე ხელი და მწვანილზე დაცემაც კი დავაპირე (ვიცი, როგორ ახარებს ეს პავკას), მაგრამ ანაზღად გამახსენდა, ახალი მოწვიმული რომ იყო და გადავიფიქრე. ამან ძალზე აღაშფოთა ბიჭი.

— წაიქეცი, წაიქეცი, ხომ მოგაკალი! — აყვირდა იგი, მაგრამ წაქცევა არც მიფიქრია. მაშინ პავკამ მუქარით დამადევნა აივნიდან:

— კარგი! აი, ნახავ, თუ აწილა გესროლო როდისმე!

— ნუ იზამ მაგას, თუ კაცი ხარ! — შევლაღადე მე.

— აღარც გესვრი და აღარც! — ჯიუტად გაიმეორა ბიჭმა.

მოედნის ერთ კუთხეში, ყაზარმის გვერდით, ტანაყრილ ხეივანში თუხუქით გადახურული, ერთმანეთთან კუთხურად მიდგმული, მწვანედ შეღებილი სამი ძელსკამი ვახტისაგან თავისუფალ ჯარისკაცთათვის ყველაზე უფრო საყვარელი თავშესაყარი აღდილია.

ახლაც კარგა ბლომად მოუყრიათ თავი. რკინის ოთხკუთხა მაგიდაზე გამეტებით უხატქუნებენ დომინოს კოჭებს და რაღაცაზე გულიანად იცინიან.

ოთარმა პირველმა შემასწრო თვალი ყაზარმისაკენ მიმავალს.

ოთარი ერთადერთი ქართველი ჯარისკაცია საგუმავგოზე და, მაგას რაღა ლაპარაკი უნდა, რომ შეხვედრის პირველი დღიდანვე დავძმაკაცდით. როცა თავისუფალა, ხშირად შემომივლის ხოლმე სახლში, ან ტელეფონით შემეხმინება ყაზარმიდან, რასა იქმ და როგორა ხარო. ქართულში თემას რომ გამისწორებს, ხომ ხუთიანი განაღებულნი მაქვს. უფრო ხშირად მაინც „სალაყბოში“ ვხვდებით ერთმანეთს. „სალაყბო“ სწორედ მოედნის იმ მყუდრო კუთხეს შეარქვა ოთარმა, სადაც ახლა ვახტისაგან თავისუფალ ჯარისკაცებს შეუყრიათ თავი. მართლაც რომ „სალაყბოა“! სხედან ბიჭები, ნება-ნება იბოლავენ თუთუნით ფილტვებს და ყვებიან ათასგვარ ამბავ-ხაბარს, ამ მთისასა და იმ მთისას. მეგობრებისაგან წერილობით შეტყობილ ცინცხალ-ცინცხალ ანგვლოტებსაც აქ ყვებიან ხოლმე პირველად. ერთი სიტყვით, ქაქახებენ და ხშირადაც ხარხარებენ გულიანად.

— გამარჯობათ! — ხელის აწევით ვესალმები ბიჭებს.

— მაგრე ჯერს არა ვართ! — ქართულად მიძახის ოთარი, თუმცა დანარჩენების სახელით კი ტყუილად ირჩება — ყველამ ერთხმად დამიბრუნა სალაში.

ყაზარმაში წასვლა გადავიფიქრე და პირდაპირ „სალაყბოს“ მივაშურე.

— როგორაა საქმე? — ვკითხულობ უმისამართოდ.

— რაღა როგორაა, მგონი ვაგებთ! — დომინოს კო-

კებს ჩასჩერებია ეფრეიტორი ლიხთვი და გამწარებით ანგარიშობს რალაცას.

— თავად რას გვეტყვი ახალს. ამხანაგო შტაბის უფროსო, — საქმიანად მეკითხება სერჟანტი ტროფიმოვი და ძმაცუტრად მიკრავს თვალს, — როგორ მიდის სწავლის საქმეები?

— მიდის ნელ-ნელა, — ვეუბნები ცალყბად, რადგან ვხვდები, რომ საგუშაგოს კომკავშირის კომიტეტის მდი-



ვანი ვითომც ხუმრობით, მაგრამ მაინც მახსენებს სკოლის „ნორჩ მესაზღვრეთა შტაბის“ უფროსს, სწავლაში წაყოჩლება არ გეპატიებაო.

ისე, კაცმა პირდაპირ უნდა თქვას, მე ეს პატივი არაფრით დამიმსახურებია. როგორღაც ავანსად მენდნენ სკოლაში. ეტყობა, რალაც მოსაზრებით საჭიროდ ჩათვალეს, რომ ეს პოსტი მაინცდამაინც საგუშაგოს უფროსის ვაჟისათვის უფრო უპრიანი უნდა ყოფილიყო. არადა,

რამდენია სკოლაში ისეთი, თავი რომ გამოუჩინა რომელიმე საეჭვო პიროვნების დაკავებაში! მგალობდა უნახავს, რომელმაც თურმე ბრტყელტუჩა იყიდა, გამოვიდა და ტყისკენ აიღო გეზი. გოგია ჯერ გელოგეშად მიპყროლია ამ კაცს, მერე გამოქცეულა და კოლმეურნეობის კანტორაში პირდაპირ თავმჯდომარესთან შევერდნოლა. შეუტყობინებიათ საგუშაგოზე და ის კაცი უცებ დაუკავებიათ, შარშანწინ ანალოგიური ამბავი ცილა კეაელოძეს გადახდა თურმე, ოღონდ ამჯერად ერთი კი არა, სამი საეჭვო პირი იქნა დაკავებული. მე კი არ იქნა და არ მომეცა ასეთი ბედნიერი შემთხვევა, აბა სადაური შტაბის უფროსი ვარ, როცა დღემდე ვერ მივხვდი, ვინ უნდა ყოფილიყო ის ნაწიოკრული გლეხი, გრიგორი პეტრენკომ რომ ვილაც არამზადა პროვოკატორს მიამგვანა თურმე.

— ეჰ, ნუთუ ისე მომიწევს დემობილიზაცია, რომ ერთხელ ველარ უნდა მოვკრა თვალი მანანას?! — ამოიოხრა ფედია შევჩუკმა.

— ეგ რომელი?! — ყური ცქციტა რიგითმა ჩერნენკომ.

— მეცხრე კლასშია ერთი ასეთი... — მიუგო ფედია.

— აჰ, ისა? — მიუხვდა ჩერნენკო, — აბა, ერთი მოყევი, რა მოხდა სამხედრო თამაშობაზე თებერვალში?

— ოცდასამში რომ მოვაწყვეთ სკოლასთან ერთად?

— იკითხა ტროფიმოვმა.

— აუ, რას გაუდიოდა გუნდებს შუზუნნი! — თქვა ჩერნენკომ.

— ეჰ, ეგ მართლაც კარგი ღონისძიება მოეწყო, ძმებო! — ღმილით წამოიძახა შევჩუკმა. — რაც შეიძლება ხშირად იყოს ასეთი ღონისძიებები, ამხანაგებო! თორემ რა გამოდის? მასებისაგან მოწყვეტა! — აი, რა!

— ვიცით, რა მასებისაგან მოწყვეტაც განაღვლებს შენ! — თითი დაუქნია სერჟანტმა შულგამ. — მოყევი ბარემ, მოყევი!

— გახსოვთ „უსახელო მალღობის“ შტურმი? — დაიწყო შევჩუკმა. — ვხედავ, ჩემგან ათიოდე მეტრზე მეცხრეკლასელი მანანა წევს, გვერდით სანიტრის ჩანთა მოუგდია, ყველანი ბრძანებას ველოდებით, რომ შეტევაზე გადავიდეთ. დაიწყო თუ არ შეტევა, მანანას გვერდით გავჩნდი. ისე ახლო-ახლო გავრბივართ, მისი სუნთქვა მესმის. ვილას ახსოვს შენი უსახელო მალღობი! უსახელო სიყვდილზეც თანახმა ვარ, თუკი მანანას ხელში დავლევ სულს. ვიტაცე მკერდზე ხელი და გადავეში თოვლში პირაღმა. მიშველეთ-მეტქი, ამოვიკვნესე და ველოდები გულის ფანცქალით, როდის მომვარდება მანანა „ჭრილობის“ შესახვევად.

შევჩუკი გაჩუმდა, სიგარეტს მოუკიდა და ხელის ჩაქნევით წამოიძახა.

— მაგრამ ვინ მოგანაჩა ეგ ბედნიერება! — ჯა ტროფიმოვს ამრეზით გადახედა. ტროფიმოვი ხალისიანად იღიმებოდა. — არ ვიცი, ამ ჩემი ცოდვით საესემ საიდან შემასწრო თვალი, ტროფიმოვის ყვირილი მესმის: რიგითო შევჩუკ, ახლავე შეტევაზე, თორემ სიმულაციისათვის ჰაუპტვახტი არ ავცდებაო! დამდულრულივით წამოვხტი და მოვრთე „ვაშას“ ღრილი, მეტი რა გზა იყო!

საერთო სიცილი ჯერ არ მიხელებულიყო, რომ ვილაცამ წამოიძახა:

— ფოსტა მოდის, ამხანაგებო!

მანქანის ყრუ გუგუნი მართლაც თანდათან ახლოვდებოდა.

ბიჭები ნელ-ნელა წამოიშალნენ. მალე პერკოვმაც შემოაჭირითა მოედანზე თავისი „ვილისი“. მანქანიდან

გადმოსვლას არ აცლიან, კინლამ ხელიდან ჰგლეჯენ ყუ-
რნალ-გაზეთების შეკვრას, მაგრამ პერკოვი არ ანებებს:

— მაცალეთ, თქვე ყაჩაღებო, მიმატანინეთ აგერ,
ლენინის ოთახში და მერე თავ-პირიც გიმტვერევათ!

წერილების დასტას კი იქვე სინჯავს. ტროფიმოვს პი-
რველს წაუწყიაურტა ცხვირზე ცისფერი კონვერტი.
სერჟანტი განზე გადის და ხარბად კითხულობს.

მე შორიახლოს ვდგავარ. კოლია პეტროვმა მალე
შემასწრო თვალი.

— თამაზ, მოდი, თქვენი წერილია!
გახარებული კუახლოვდები და მორჩილად ვუშვებ
სახეს.

— შენს ცხვირს მერეც ეყოფა, სამხრებს რომ და-
გაკრავენ! — მოწყალედ მილიმის პეტროვი და წერილს
ხელში მაჩეჩებს.

— რატომ, რატომ, წესი წესია! — პროტესტს გამოთ-
ქვამს შევჩუკი.

ჩამოვახიე თუ არა კონვერტს კიდე, ვიგრძენი, რომ
საიდანაც მამაჩემი მომჩერებია. ინსტინქტურად ვიხე-
დები ჩვენი სახლისაკენ. მართლაც, აივანზე მამა დგას.
რომ არ გამეხედა, ალბათ დამიძახებდა, რადგან, გავი-
ხედე თუ არა, მაშინვე ხელი დამიქნია.

იქვე, აივანზე ჩავიკითხეთ დედაჩემის წერილი: „გა-
მარჯობა, მიშა! სალამი, თამაზ! ალბათ გიჭირთ უჩემოდ,
მაგრამ იმედი მაქვს, მალე ვნახავთ ერთმანეთს, რაკი მა-
მას მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდება. რაც საავა-
დმყოფოდან გამოვიყვანე, მშვენივრადაა. პროფესორმა
მირჩია, სადმე მთის კურორტზე წაიყვანეო. ჰოდა, მთაც
ეგაა. გადავწყვიტე, სიცხეებს დაიჭერს თუ არა, წამო-
ვიყვანო მოხუცები. მოკითხვას გითვლიან ორივენი. მო-
ვიკითხავთ ციცინოც და ბოდრის გიხდით, ამდენ ხანს
წერილი რომ არ გამოუგზავნია. ხომ იცით, როგორ არ
უყვარს წერილის წერა. სამსახურით ძალიან კმაყოფი-
ლია, თანაც ბეჯითად ემზადება გამოცდებისათვის. გა-
დაწყვიტა მიაგდოს ქვა სამედიცინოს და პუშკინში ჩა-
აბაროს. არ მეგონა, ასე თუ შეუყვარდებოდა ბავშვებ-
თან მუშაობა. პირველად, ცოტა არ იყოს, უგულოდ მო-
ეკიდა პიონერულმძღვანელობას, როგორც ნაძალადევს
და სტაჟისათვის თავსმოხვეულ საქმეს, ახლა კი სკოლა
აღარ ეთმობა და გადაწყვიტა დაუსწრებლად ისწავლოს.
სხვა, რაღა მოგწეროთ, მალე შეხვედრამდე. P.S. როგორც
მომწერე, ისე ვიზამ. ვიზები რა საჭიროა. საკონტროლო-
გამშვები პუნქტიდან დაგიკავშირდებით. ჩამოდი და წაგ-
ვიყვანე. დამატებით დეპეშას გამოგზავნი“.



წ ი ს ქ ვ ი ლ უ ი

- გოგია, წამო, პაპაშენს გავუაროთ წისქვილში.
- წისქვილში რა დაგრჩენია, ბიჭო, საფქვავე გაქვს თუ?
- ისე, მაინტერესებს...
- რა, შე კაცო, საინტერესო! დევს ორი დიდი მრგვა-
ლი ქვა ერთმანეთზე და ტრიალებს. ჩაყრი მარცვალს და
გამოდის ფქვილი!
- ვაა, რას ლაპარაკობ, სულ ეგაა, კაცო?!
- აპა, რა გეგონა შენ!
- ორი ქვა?! ორად ორი?!
- ჰო, ორი!
- არა, ძმაო, ორდოლაბიანი წისქვილები ჩვენკენ
დიდი ხანია აღარ არის! რაღა დროს ეგაა, ბიჭო?! ჩვენ-
თან დიდი ხანია სამ-ოთხდოლაბიანი წისქვილებზე გა-
დავიდნენ!
- ააფრინა!
- დავნიძლავდეთ, თუ გინდა! აი, წაგიყვან კახეთში

- და შენი თვალთ ვაჩვენებ: დევს სამი ან ოთხი დიდი
მრგვალი ქვა ერთმანეთზე და ურთიერთსაწინააღმდეგო
მიმართულებით ტრიალებს. ახლა წარმოიდგინე, რამხე-
ლა ამბავია: რასაც პაპაშენ იორამას წისქვილი ერთ სა-
ათში დაფქვავს, სამდოლაბიანი წისქვილი ორჯერ უფ-
რო სწრაფად ფქვავს, ოთხიანი სამჯერ უფრო სწრა-
ფად.
- მოიცა, მოიცა, ეგ რა კარგმ რაღაცაა, ე!
- შენ რა, მართლა პირველად გესმის?
- რაც მართალია, მართალია, დღემდე არ გამიგონია!
- კაი ახლა, როგორ დავიჭერო!
- ნუ დაიჭერებ, თუ გინდა! უყურე შენ, რა ჭკვია-

ნური მოფიქრება! იმიტომაცაა, ძმაო, ბაბუა იორამის წისქვილში სულ ერთთავად რიგი დგას!

— რიგი იქნება, დალოცვილო, აბა, რა იქნება! დაუმატოს ერთი ქვა, რა უნდა მაგას, სულ პატარა რეკონსტრუქცია დასჭირდება!

— მაგას დღესვე ვეტყვი ბაბუას! ეგ ისეა, ერთი საფქვავი რომ ორ წისქვილში იფქვებოდეს ერთდროულად, პა?

— აბა რა!

— წავედით!

წისქვილი ჩუმალა ხევის პარზეა ჩადგმული, სოფლის თავში. შორიდან შეხედავ და გეგონება წყლის წისქვილიაო, მაგრამ, თურმე, ნუ იტყვით, დენზე მუშაობს. წყლის რომ მეგონა, იმიტომაც იყო, რომ ჩამოსვლას პირველ დღეებშივე მოვიხახულე იორამა პაპას წისქვილი და, დენის რომ აღმოჩნდა, მახსოვს, ძალიან დამწყდა გული, რადგან წყლის წისქვილი ჯერ არ მენახა. ამბობენ, ადრე, ომის პერიოდში, კახეთში ბევრი ასეთი წისქვილი იყო. მე მგონი, წყლის წისქვილს მაინც სულ სხვა ემზი და ლაზთი აქვს, ისევე, როგორც ქარისას. რომანტიკა — კიდევ მეტი! აბა ერთი წუთით წარმოიდგინეთ დენის წისქვილთან მებრძოლი ლამაზი რაინდი.

ამაზე გოგიტა ჭიუტად აქნევს თავს და მეუბნება:

— ყოვლად შეუძლებელია, დენის წისქვილი დევად მოსჩვენებოდა!

— აფსუს, რა დიდებული ეპიზოდი დაიკარგებოდა, არა?

— რომც მოსჩვენებოდა, რაც მისგან ადვილი მოსალოდნელია, საქმე სულ უბრალოდ გადაწყდებოდა.

— მაინც როგორ?

— როგორ და, სანჩო მაშინვე წისქვილში შევარდებოდა და დენს გამორთავდა. „აკი მოგახსენებდით, ჩემო ბატონო, რომ წისქვილია-მეთქი!“ — ნიშნის მოგებით ეტყოდა რაინდს.

სიცილსიცილით შევედით წისქვილის ეზოში. ძელსკამზე ჩამომსხდარმა ბერიკაცებმა, როგორც სჩვევიათ, ხელმოჩრდილვით გამოგვხედეს, თუმცა მზე ზურგიდან უყურებდათ.

— გამარჯობათ, ბაბუებო! — მივესალმე მოხუცებს. გოგიტაც მიესალმათ.

— გაგიმარჯოთ!

— გაიზარდეთ!

— გაიზარეთ! — მოგვაცოლეს მაშინვე.

— მაიორის ბიჭია, — ავტორიტეტულად განუცხადა მონტიორმა კირილემ გვერდით მჯდარ ყაბალახიან ბერიკაცს.

„ჰოო, კირილევ აქ ყოფილა! კარგია! — გავიფიქრე, — შენც მჭირდებოდი!“

— ვიცით, შე კაცო! — შეიცხადა ყაბალახიანმა მოხუცმა.

— ვაშლის განაჭრევით არ ჰგავს მამამისს?! — თქვა ისევ კირილემ.

— სხვები დედაჩემს უფრო მამსგავსებენ, კირილე ბაბუა! — გავაწბილე მოხუცი.

— მაშინ სამივენი ერთმანეთს ჰკვანებიხართ და ეგაა! — წახეხარა სვეტლანა და გლეხი.

— ლოგიკის საქმე არ არის? — დაუკვერა კირილემ. ის იყო და წისქვილიდან ფქვილში ამოგანგლული მეწისქვილე იორამაც გამოვიდა.

— მაინც, რას მეთაყვრებო, ბატონებო, თქვენი მობრძანება? — შეკვავება ღიმილით. — ასეთ საპატიო სტუმარს ნამდვილად არ შოკვლობდი!

— არაფერია, ბაბუა. — გაუიოლა ჩემი სტუმრობა გოგიტამ, — ისე გამოვიარეთ.

— კეთილი და პატიოსანი, სტუმარი ღვთისაგან გოგიტამ დაადო თავი და პირდაპირ წისქვილში შევიყვინეთ და მეც, რალას ვიზამდი, მივეყევი.

— სად მიძვრებით მაგ მტვერში, სადა?! — მოგვაცოლა მეწისქვილემ.

— შიგნით, ცხადია, არ შევსულვარ, კარიდან მოვეაღლე იქაურობას მხერა.

მძიმედ ზანზარებს და დგანდგარებს სიმიინდით გაჭედლილი ხვიშირა. ალაში ვილაც კეთაშემელოტებული კაცი წაყუდებულა და ხის აქანდახით ტომარაში ფქვილს ურის.

— ჰო, ორდოლაბიანი ყოფილა, — ვეუბნები გოგიტას და გარეთ გამოვდივარ. ვჩქარობ, ვიდრე გოგიტა ბაბუამის წისქვილის რეკონსტრუქციის გეგმას შესთავაზებს, როგორმე უნდა მოვასწრო ჩემთვის საინტერესო საკითხის გარკვევა. თორემ გოგიტამ თუ დამასწრო ოთხდოლაბიანი წისქვილის ზღაპარი!.. მაგრამ რით დავიწყო, როგორ დავიწყო?

— სიმიინდი აყრია, ხომ? — სხვათა შორის ვეკითხები მეწისქვილეს.

— სიმიინდია, მამ!

— ახლა ნასიმიინდარზე თუ ხორბლის რიგია, ვაი მაგ ხორბლის პატრონს!

— ოჰო! ვითომ რათაო?

— რათა და, ხომ წახდება პურის ფქვილი, სიმიინდისა თუ შეერია!

გოგიტას პაპა უცებ ვერ მიხვდა, რას ვეუბნებოდი, თეთრად გაფიფქული ხშირი წარბები მალლა აზიდა და ჩემი უცნაური დებულებით გაოცებულმა შვილიშვილს გადახედა.

— რას ქვია წახდება, როგორ თუ წახდება...

— ვერ მიხვდა, რაზე ვეუბნება? — უძახის მონტიორი კირილე, რომელსაც, ეტყობა, კი მახვილი სმენა უნდა ჰქონდეს, რაკი ჩვენი საუბარი ეგრე აუკრფია. — შოთის პურს მჭადის გემო ექნება და აღარ შეიქმებაო! კახელებს ამბავი ხომ იცო, აო სწყალობენ მჭადსა და!

ყველას ერთად სიცილი აუტყდა. იორამ მეწისქვილე ყველაზე მადიანად ხიბხიბებდა. ბოლოს თითი შემართა მალლა:

— წაახდენსო? კი არ წაახდენს, მამაშენიშვილო, გააკეთალშობილებს, აპა!

— ბებიჩემი იტყვის ხოლმე, მჭადს მხოლოდ გაჭირვების დროს — ომის წლებში ვკამდითო: მეტწილად კი პურის ფქვილში ურეედნენ თურმე, ამას მჭადპურას ეძახდნენ. — ვამბობ და ძალზე მიხარია, რომ, ასე თუ ისე, ომი ვახსენე, რაც მთავარია. თუმცა თავიდან შედგენილი გეგმა განზე მრჩება, მაგრამ იქნებ ასეც სჯობდეს! — ნატურალური სახით მჭადის ჰამა სირცხვილიც კი ყოფილა. ასეთზე დაცინვით იტყოდნენ თურმე, მაგას რა უნდა ელაპარაკო, უსარგულო მჭადით კუჭი აქვს გალაცებულო!

— ჰაი, დედასა! — სიცილსა და სიცილს შუა ამბობს მონტიორი კირილე.

— მე და იორამს გვექონოდა ის თქვენი დაწუნებული უსარგულო მჭადი იქ, ფრონტზე!

— ფრონტზე კიდევ რა გვიჭირდა, კონცლაგერში გვექონოდა, სული კბილით რომ გვეჭირა! — ერთბაშად მოსხიპა სიცილი გოგიტას ბაბუამ.

— თქვენ რა, ერთად ხომ არ იყავით ტყვეობაში? — ორივეს მისამართით კითხულობს სვანურქულიანი.

— არა, ერთად არა, ერთ ფრონტზე კი ვიბრძოდით



თურმე, — თქვა კირილე ბაბუამ. — იორამსაც ტიმოშენკოს არმიში უბრძოლია.

— ეეჰ, ვინც ჩამოვედით, იმათ რა გვიჭირს! — ახლა-ლა ამოიღო ხმა ყაბაღანისა ბერიკაცმა, რომელიც აქამდე თავისთვის იჯდა და იშვიათად იცინოდა, — იმათ უკოთხონ. ვინც სამუდამოდ იქ დარჩა! ეგერ ბურჭულაძის; არჩილამ იკითხოს! გაუხარელი რომ წავიდა საწყალი!

— სკოლის პიონერულ ორგანიზაციას მისი სახელი მიეკუთვნა! — ვთქვი მე.

— მაინც თქვენით ედგათ პელაგასა და სიმონას სული! — მითხრა კირილე მონტიორმა.

— მაგრად ეხმაურებიან ხოლმე გოგო-ბიჭები, მაგრად, — დაეპოწმა იორამა მეწისქვილე, თან იქვე მდგარ გოგიტას ქეჩოში წამოჰკრა ხელი, — ამ მამაძალს შინ თონსა და ბარზე ხელს ვერ მოაკიდებინებ, ბევრიც რომ ეხვეწო, მაგრამ, რა გინდა, შემოდგომაზე ბურჭულაძეების კარტოფილი ამისმა ხელმა ამოიღო, ისე ირჯებოდა, მოგეწონებოდა.

— მარტო მე ვიყავი თუ? — იწყინა გოგიტამ, — მთელი ჩვენი რაზმი იქ იყო და!

— ალალი იყოს შვილო, ალალი, უნდა დაეხმაროთ, მაშ! — ისე ალაღად უთხრა ბაბუამისმა, უნებლიეთ გაბეცინა, ჩემი აქ მოსვლის მიზეზი რომ გამახსენდა: „არა, მამო, არა, არც ესა და არც კირილე არ უნდა იყოს, სად ესენი და სად გამცემლობა და სამშობლოს ღალატი!“ და იმავე წამს მაინც ჩემს არხში გადავუგდე წყალი:

— მე კი მეგონა, იორამა ბაბუა, ნამდურავად იქნებამეთქი ბურჭულაძეებთან! — ვუთხარი სიცილით.

მეწისქვილემ გაოცებით მომხედა, დონჩჯი შემოიდგა და მეკითხება:

— ვითომ რატომამო? საიდან მოიტანე?!

— რა ვიცი, აბა, რალაც ათიოდე წუთით მოგვარით ზეიმზე თვალი და... მალევე წახვედით თქვენ და კირილე ბაბუა, ბოლომდე არ დარჩენილხართ...

— რას ამბობს ეს ბალანა! — შეიცხადა მეწისქვილემ.

— რავე არ ვყოფილვართ, შე კაცო, აბა, სად უნდა ვყოფილიყავით სხვაგან, მთელი სოფელი იქ იყო!

— არ ვიცი, ღმერთმანი! — წამოიძახა კირილემაც, და მაშინვე ვიგრძენი, რომ ერთიც და მეორეც უნდა ამომეშალა ჩემი „შავი სიიდან“...

— რა დროს ეგ არის, თამაზ, ვუთხრათ, რისთვისაც მოვედით, რა! — დროზე ჩაერია გოგიტა, თორემ აღარ ვიცოდო, რა მეთქვა მოხუცებისათვის.

ბაბუამისმა მაშინვე ყური ცქეცა, შვილიშვილს გაოცებული მოუტრიალდა:

— რაო, რა დაგრჩათ კიდევ სათქმელი? — ჩაეკითხა ღიმილით.

— უთხარი რა, თამაზ! — წამაქეზა გოგიტამ.

— რა, ბიჭო? — ვკითხე მიამიტად და ვიგრძენი, როგორ შემებრალა ეს საოცრად გულბრყვილო და მიმნდობი ბიჭი, რომელსაც ახლა სული კბილით ეჭირა, როდის დაიწყებდა სამ-ოთხ დოლაბიანი წისქვილების სენსაციურ ამბავს. წარმოვიდგინე, როგორ გაამხიარულებდა ეს ამბავი ამ კეთილ მოხუცებს, მერე კი, ვინ იცის, ვის ყურში ჩავარდებოდა და... გახდებოდა გოგიტა მთელი სკოლის სამასხარაო.

გამეტებით ვუჩქმიტე მკლავზე და წავჩურჩულე:

— გეხუმრე, შე შტერო, კრინტი არ დაძრა მაგაზე! — და ვიდრე გაოგნებული ბიჭი აზრზე მოვიდოდა, თავადვე ვუთხარი ბაბუამისს: — საგუშაგოზე მიმყავს გოგიტა, ეს გვინდოდა გვეთქვა...

— კი მაგრამ, მამაშენს დაეკითხე? — დაინტერესდა იორამა ბაბუა.

— მამაჩემს რა დაკოთხება უნდა, — არ ვიტყვინებო ბარს.

— უნდა, შვილო, როგორ არ უნდა! — ბეჭუნდა რამა ბაბუა, — დაეკითხე და სტუმრად მერე წაიყვანე საგუშაგოზე!

შ ე უ მ გ ი

მეხუთე გაკვეთილის გამოსვლას ბევრი აღარა უკლია რა. სკოლის ჭიშკართან მწვანე „ვილისი“ გაჩერდა. მაგრამ ამჯერად იგი სპეციალურად „ჩემი ბრწყინვალეების“ წასაბრძანებლად როდი გარჩილა. აგერ, ერთბაშად რამდენიმე ჯარისკაცი გადმოლაგდა მანქანიდან! პირველი — ლეიტენანტი ანდრო ფერაძე გადმოვიდა, იმას სერჟანტი ტროფიმოვი გადმოჰყვა აღიკაპარულ ცერბერთან ერთად, მერე კიდევ ოთხმა ჯარისკაცმა ისე უბა მანქანიდან. ღვანის და გულდაგულ ისწორებენ ფორმის ტანსაცმელს. თვით ცერბერიც კი, თოქოს ბებერი ძვლებით გრძნობს, რა აბეზარი და სეირის მოყვარული აუდიტორიის წინაშე მოელის დღეს თავისი გემისმამი ებლური უნარის დემონსტრირება, დაუსრულებლივ იფერტხავს ტანს, როგორც ეს წყლიდან ახლახან ამოსულმა ცხოველებმა იციან. ლეიტენანტი ფერაძე საათს დასცქერის, ჯარისკაცებს რალაცას ელაპარაკება, მერე კი მარტო მოდის სკოლისაკენ. ბიჭები ჯერჯერობით სიგარეტს ეწევიან. ალბათ გაკვეთილის გამოსვლას დაელოდებან და სკოლის სპორტულ მოედანზე ცერბერი-თურთ მაშინაო გამოჩნდებიან, როცა „სახლვისის დამრღვევის“ დაკავების საჩვენებელი ვარჯიშისათვის მოედანიც მომზადებული იქნება და მაყურებელიც.

— შეფები გვეწვივნენ!

— აფხარკით არიან!

— გენაცვალე, რა ძაღლია!

— ბან-ბუხ! ხელები მალა!

— მაგარი ამბავი იქნება!

კლასი ისე გამოაცოცხლა და აახმაურა კიდევ ჯარისკაცების დანახვამ, რომ კოტე მასწავლებელი აღარც ცდილა ბავშვების დაწყნარებას, სათქმელი მოკლედ მოჰკრა, საშინაო დავალება ჩავვანიშნინა და ზარიც აწკრიალდა.

მე და მერაბი ერთად მივყვებოდით სკოლის დერეფანს.

— ამას წინათ სერჟანტი შულგა გადარჩეს ჩვენმა ბიჭებმა, — მეუბნება მერაბი.

— რას ერჩოდნენ, კაცო, იმას გადარევალა უნდოდა?! — სიცილით მივუგე მე.

— ისე დავუშალეთ და ავუწყეთ ავტომატი და კარაბინი, ასე ზოგიერთ ჯარისკაცსაც გაუჭირდებო. გვითხრა, — ტრაბახობს მერაბი.

— ჯარისკაცს გააჩნია!

— წამო, ვასო მოვინახულოთ, არ გინდა?

— ჰო, კი ხანია ვასო არ მინახავს, წავიდეთ.

ვასია ზავილოხინმა თვალი შეგვასწრო თუ არა, სამწყობრო ნაბიჯით გამოსწია ჩვენკენ. რომ მოგვიახლოვდა, ფეხი ფეხს მიარტყა და საგულდაგულოდ გამოიჭიმა „სმენაზე“.

— ეფრეიტორი ზავილოხინი გამოცხადდა თქვენს განკარგულებაში!

სახეზე კი, როგორც ყოველთვის, ანცი ღიმილი დასთამაშებს.

— მადლობას გიცხადებთ, ამხანაგო ეფრეიტორო! — კეუბნები ვსისას.

— თავისუფლად! — ეუბნება მერაბი, რომელიც უკვე მერამდენედ შეესწრო ზავილოხინის ამ აკვატებულ ხუმრობას.



— მეტი არ იქნება შენი მტერი! — ხელი ჩაიქნია ვახუშტი სიამ. — ჯაშუში, ძმაო, შარა-შარა არ დაეხეტებოდა შენს მანქანით სადმე გადაეაწყდე და დავიჭირო! ეგეც არ იყოს, საჩემოდ ვინ გახდის. უმალ აქვე, სოფელში ჩაველებენ ხელსა, ისე არიან აქაურები და გეშოლები! აგერ, დღას არ იყო. მეტყევეს ვილაც ორი ტოპისათვის უტაცია ხელი და მიუბრძანებია საბჭოში?!

— ვისა, ტრიფონა ბიბისა? — წამოვიძახე მე.
— ჰო, — მიღასტურებს ვასია.
— რაც მაგას საეჭვო პირი დაუეკვება! — ამბობს მერაბი.

— ოჰ, საეჭვო პირი, თორემ! — ხელი ჩაიქნია ვასიამ,
— რაც დღეს ქვეყანა ააწრიალა, აბა, რა გამოვიდა!

— მამაჩემი იქ იყო? — შევაწყვეტინე მე.
— აბა როგორ! სოფსაბჭოდან ხომ, როგორც წესი და რიგია, ჯერ საგუშაგოზე დარეკეს, ასე და ასეო, რა ვქნათო. ჰოდა, მაიორი თავად წამოვიდა. იმან კი მერე ქალაქში დარეკა. იქიდან უშიშროების უფროსი ამოვიდა. ერთი სიტყვით, აწრიალდა ქვეყანა და ხელში ვინ შერჩათ?!

— ვინ? — მოუთმენლად იკითხა მერაბმა.
— ერთი თბილისელი ყოფილა, მეორე კიდევ აგერ, იმ სოფლიდან, — ხელმარცხნივ დაბლობში ჩაფენილ პატარა სოფელს გახედა. — ჰოდა, ის თბილისელი სტუმრად ჩამოსულა ერთი კვირით თავის ყოფილ თანაკურსელთან. ეგეც ამდგარა და ტყეში წამოუყვანია სოკოზე...

— ჯერ რა დროს სოკოა, ხალხო! — გაოცდა მერაბი.
— არის, როგორ არა, საგაზაფხულო სოკოები! — ვუთხარი მერაბს, რომლისთვისაც სოკოთმცოდნეობაში, ანუ მიკოლოგიაში, ჩემზე დიდი ავტორიტეტი არ არსებობს.

— კი, დაეკრიფათ კიდევ ერთი კალათა. მერე შემოჰყოლოდნენ ტყეს აღმა-აღმა და ცოტა შორს შემოსულიყვნენ. იქ კი ჩვენი მეტყევე გადაჰპროდათ. საუბედუროდ, თბილისელს სამედიცინო და პასპორტი მასპინძლის ოჯახში დარჩენიდა. ბოლოს, მადლობა ღმერთს, გამოირკვა ყველაფერი.

— გაუშვეს უკვე? — ჰკითხა მერაბმა.
— აბა რას უზამდნენ! — თქვა ზავილოხინმა, — დატუქსეს და გაუშვეს.

„კ ა ნ ი კ უ ლ ა“

— რალაც გუნებაზე არ ჩანხარ, ბეროშვილო, რა დაგემართა? — მეკითხება ჩვენი უფროსი პიონერხელმძღვანელი, რომელსაც გამოცდიდან გამოსული სკოლის ეზოში წინ შევეფეთე.

— ისეთი არაფერი, გამოცდიდან მოვდივარ.
— მერე? ხომ არ ჩაიჭერი?

— ჩაჭრა არ არის? ოთხიანი მივიღე!

— რას ჩამოგტირის ცხვირ-პირი, დალოცვილო, — ერთბაშად გამხიარულდა ალექსანდრე ხელმძღვანელი.
— მეტი ჯავრი ნუ მოგცა! ეს ბოლო გამოცდაა, ხომ?


— დაიწყო, დაიწყო „კანიკულები“... — მივუგებ ლიმილორეული.

— აბა, აბა, ჩემთან ბარბაროზმები არ იყოს! ხომ იცი, როგორ არ მუყარს ასეთი რამეები! — თითის ქნევით მეუბნება იგი. — ისე, თუ იცი მაინც, საიდან მოდის ეს სიტყვა?

— კარგით რა, დამცინით თუ? როგორ არ ვიცი! — ვამბობ წყენით და გაოცებითაც, აბა, ვინ არ იცის მაგ სიტყვის მნიშვნელობა!

— ჰო, სადაური სიტყვაა? — მაინც ჩამეძია.

— ეჰ, რა ვქნა. მერაბჩიკო, მამამისი არ მიცხადებს მა-
დლობას და ხანდახან ავას მაინც აღარ გამოვტყუო?
— დამსახურება უნდა, ძმაო, ისე კი არ არიგებენ! —
იციან მერაბი, — აბა, ერთი ჯაშუში დაიჭირე და ყურით
მიჰგვარე მამამისს, თუ მედალოც არ დაგიდოს!



— რა თქმა უნდა, რუსული!
 — ბოდიში, ბატონო! — იცინის ალექსანდრე ხელმძღვანელი. — აი, ხომ ვთქვი, არ გცოდნია! მამასადა-მე, წრის მეცადინეობაზე ამ თანავარსკვლავედზე არ გვქონია ლაპარაკი, ხომ?

— როგორ, მასწ., ასეთი თანავარსკვლავედიც არსებობს? — წამოვიძახე გულწრფელი ვაოცებით. ეს „მასწ.“ კი მექანიკურად როდი წამომცდენია; როცა საქმე ასტრონომიას ეხება, ალექსანდრე ხელმძღვანელი, დიხასაც, მასწავლებელია, შეუდარებელი მასწავლებელი.

ვერ წარმომიდგენია, ნუთუ შეიძლება ადამიანი დამოუკიდებლად ამოდენა ცოდნას დაეუფლოს. თანაც სად! სამხედრო სამსახურში დაუფლება. ზემდეგი გვეყავდომ ერთი, თვითნასწავლი ასტრონომი. დაანახვე ალექსანდრე ხელმძღვანელს ცაზე ნებისმიერი ვარსკვლავი და ისეთ საოცარ ამბავს მოგიყვება მის შესახებ, პირს დააღებ კაცი. ჩვენ მისი ეს ცოდნა და უნარი სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინეთ შემოდგომის ერთ საღამოს, როცა ჩვენი რაზმი კოლმეურნეობას კარტოფილის ამოღებაში ეხმარებოდა და მანქანის მოლოდინში შემოგვალამდა. სწორედ მაშინ დაგვხვდა იდეა ასტრონომიის შემსწავლელი წრის „ორიონის“ ჩამოყალიბებისა. მაშინ ალექსანდრე ხელმძღვანელი სულ ახალი კაცი იყო ჩვენს სკოლაში.

ალექსანდრე ბაბლიძის გამოჩენამდე სკოლაში პიონერული მუშაობა თითქმის ჩაშლილი იყო. იგი ჩვენთან მეზობელი სოფლიდან მოვიდა. სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებულს უნივერსიტეტში ასტროფიზიკის ფაკულტეტზე უცდია ბედი, მაგრამ ქულა დაკლებია და ვერ ჩარიცხულა. ჰოდა, მოვიდა ჩვენთან. მოვიდა და იმავე დღეებში პიონერთა ოთახის კარზე გაჩნდა მოწოდება: „პიონერო! ეს შენი ოთახია! გულგრილად ნუ ჩაუვლი მას!“ ძნელი იყო ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ კარი არ შეგელო და ოთახში არ შესულიყავი, სადაც უკვე უჩვეულო გამოცოცხლება, საქმიანი ფუსფუსი და საზეიმო განწყობილება სუფევდა.

— ოო, ზაფხულის ცა ძალზე საინტერესოა! — ამას ისეთი გატაცებით ამბობს ალექსანდრე ხელმძღვანელი, თითქოს რომელიმე ლირიკული ლექსის ტაეპს კითხულობდეს. — არის ზოგი რამ ისეთი, რომლის მთელი ეშხით აღქმა მხოლოდ ზაფხულის ღამით შეიძლება. რაც შეეხება შენს „კანიკულას“, მასზე დაკვირვებისათვის ყველაზე ხელსაყრელი დრო დეკემბერ-იანვარია, მაგრამ, არანაკლებ დიდებული სანახავია ის ზაფხულის ცაზე განთიადისას. მისი მონახვა ორიონის გვერდით ძალზე იოლია, რადგან ეს ჩვენი ცის ყველაზე უფრო კაშკაშა ვარსკვლავია... ორიონის შესახებ, თუ გახსოვს, უპივე მოგიყვით.

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს. ორიონი ხომ მონადირეა, რომელიც ნადირობის ქალღმერთმა არტემიდამ განრისხების ეამს თანავარსკვლავედად გადააქცია. მაგ თანავარსკვლავედს ყველაზე იოლად ვცნობ ცაზე.

— ჰოდა, ორიონის, ამ ერთ-ერთი ულამაზესი თანავარსკვლავედის გვერდით არიან მისი მწვეარი ძაღლებიც — დიდი და პატარა. აი, სწორედ დიდი ძაღლის თანავარსკვლავედში ინთება ალფა ვარსკვლავი — სირიუსი, რომელსაც ძველი ეგვიპტელები და უფრო გვიან რომაელები „ძაღლის ვარსკვლავს“ უწოდებდნენ. ძველი რომაელების ენაზე ეს სიტყვა ჟღერად, როგორც „კანიკულა“. განთიადის ცაზე მისი გამოჩენა რომში დიდი სიციხეების დაწყებას ემთხვეოდა. ასეთი „მკვდარი სეზონი“, რომელსაც ხშირად სხვადასხვა ტროპიკულ ავადმყოფობათა ეპიდემიები ახლდა და ერთობ საშიშ პერიოდად ითვლებოდა, ძველ რომში საერთო შებებუ-

ლების დღეებად ცხადდებოდა. გაიარა საუკუნეებმა და ის შფოთიანი „ძაღლის დღეები“ მხიარულ „კანიკულა“ ბად“. ანუ ჩვენს არდადეგებად გადაიქცა. გასაგებია?

— ოჰო, აი, თურმე რა ყოფილა! — ვთქვი მე წამღერებით.

— ეჰ, კარგი იქნებოდა, ჩვენს „ორიონს“ ზაფხულშიც განეგრძო მუშაობა, — თქვა ალექსანდრე ხელმძღვანელმა, — კვირაში ერთხელ შევიკრიბებოდით...

— მერედა რა გვიმლის ხელს?! — წამოვიძახე მე. — რა ვიცი. თითქოს არაფერი. რამდენიმე ბავშვმა აქეთ მთხოვა კიდევ. მაგრამ ალბათ ვაჭირდება ყველას თავმოყრა. ზოგი წავა სადმე, ზოგიც...

— არაა აუცილებელი, ყველამ იაროს! ვინც მოვა, მოვა!

— კი მაგრამ, აი, შენ როგორ ივლი, მაგალითად, გამოგიშვებს ღამე მამამენი? არადა, ბინოკლი თუ არ გვექნა...

— ყველაფერი კარგად იქნება! — ვამბობ მე ზიუტად, თუმცა კი ვგრძნობ, რომ უფროსი პიონერხელმძღვანელის ეჭვი ერთობ საფუძვლიანია. ალბათ ძალზე გამიჭირდება მამაჩემის დაყოლიება, მაგრამ ეგ არაფერი. ბოლოს და ბოლოს, კვირაში ერთხელ აქამდეც ხომ მიხდებოდა „ორიონის“ მეცადინეობაზე თითო-ორი საათით სიარული. საღამოთი, შებინდებამდე მოკცავდი მანქანას, მერე კი, როცა ცაში ყურებით კისერმოწყვეტილნი დავიწვებოდით, მე რომელიმე მეგობარს მიგყვებოდი და ღამეს მასთან ვათევდი.

— რომელ დღეს გვექნება მეცადინეობა, მასწ?..

— სულ ერთია, თუნდაც ხუთშაბათი დავთქვათ, ოღონდ, როცა ღრუბლიანი საღამო იქნება, ცხადია, არ შევიკრიბებით.

— ისევ სკოლის ეზოში?

— რა თქმა უნდა!

— მე კი მგონია, რომ აიმ გორაზე, „არ გაუშვას“ ციხის ნანგრევებთან მოგვეყარა თავი, ყველაფერს აჯობებდა!

— დღლოცვილო, მაგას რა სჯობს, ნამდვილი საობსე-რვატორიო ადგილია, მაგრამ ღამით... ხომ იცი, გზა სასაფლაოზე გადის, შეეშინდებათ ბავშვებს.

— ცალ-ცალკე ხომ არ ვივლით! ერთად არ ვიქნებით?

— კი, ბატონო, იყოს „არ გაუშვას“ გორა!

— მამასადამე, ხუთშაბათობით!

მ ე ვ ს ნ ე ბ ა მ ო ვ ი დ ა

ქალაქიდან დაბრუნებულს საგუშაგოზე დიდი სიურპრიზი მელოდა: ახალწვეულთა ჯგუფში, რომელიც დღეს დილით ამოეყვანათ საგუშაგოზე, ჩვენი გურჯანელი მეზობელი ნოდარ ბასილაშვილი დამიხვდა.

პირველად მაინცდამაინც ყურადღება არ მიმიქცევია მოედანზე ერთმანეთის პირისპირ ორმწკრივად მდგარი მწყობრისათვის, რომელთა შორის დინჯად მიმოდიოდა მამაჩემი და რალაცას ლაპარაკობდა. ჩვეულებრივი ინსტრუქტაჟი მეგონა, მორიგე ოფიცრები რომ უტარებენ ხოლმე ჯარისკაცებს პოსტზე დადგომის წინ.

მანქანიდან ვადმოვედი და, რაკი ქალაქში ფოტოფირი და ფიქსაჟი ვერ ვიშოვე და, ცოტა არ იყოს, უგუნებოდ ვიყავი, პირდაპირ სახლს მივაშურე. სწორედ მაშინ მომესმა მოედნის მხრიდან ძახილი:

— თამაზ, აქეთ, ბიჭო, ველარ მიცანი?

ბაბრძელება ზამღვზ ნომერში

ე. ა. შავარდნაძის გამოსვლიდან

საქართველოს რევოლუციის სა-
ხელმწიფო მუზეუმი, რომელიც ბა-
თუმში მდებარეობს, რესპუბლიკის
ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნი-
ერო-საგანმანათლებლო დაწესებუ-
ლებაა. განვლილი 43 წლის მანძილ-
ზე, 1936 წლიდან დღემდე, მან მნი-
შვნელოვანი წარმატებები მოიპოვა
სამუზეუმო საქმიანობის ყველა სფე-
როში. სამეცნიერო-შეგროვებით მუ-
შაობაში ძირითადი ყურადღება ეთ-
მობა საქართველოს რევოლუციური
წარსულისა და აწყმოს ასახვას.
დღეისათვის მუზეუმში 20 000-მდე
ექსპონატი. მთელი ექსპოზიცია სამ



მოვისწოდებ

ექსპოზიციის მესამე განყოფილე-
ბის ძირითადი შინაარსია დიდი ოქ-
ტომბრის სოციალისტური რევოლუ-
ციის გამარჯვება და ბრძოლა საქარ-

ექსპონატები

განყოფილებად არის განლაგებული.
პირველი მათგანის ექსპონატები ასა-
ხავენ რუსეთსა და ამიერკავკასიაში
მარქსისტული მუშათა პარტიის შექ-
მნის პროცესს. მეორე განყოფილე-
ბის ძირითადი შინაარსია 1905-1907
წლების რევოლუცია საქართველოში
და ამ პერიოდში რსდმპ ლენინურ-
ისკრული მიმართულების ბათუმის
კომიტეტის მოღვაწეობა. მესამე გან-
ყოფილებაში ნაჩვენებია დიდი ოქ-
ტომბრის სოციალისტური რევოლუ-
ცია და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფ-
ლების გამარჯვებისათვის საქართვე-
ლოში. საბჭოთა განყოფილება წარ-
მოდგენილია მასალებით დიდი სამა-
მულო ომის, ბოლო ხუთწლეულების,
სკკპ XXV ყრილობისა და საქართვე-
ლოს კპ XXV ყრილობის შესახებ.

ლებს: ცნობილ ქართველ მწერალ ე.
ნიზოშვილს, მ. ცხაკაიას, ფ. მახარაძეს
და სხვებს. ექსპოზიციაში ფართო ად-
გილი აქვს დათმობილი თბილისის
მუშათა მოძრაობას.

როგორც ცნობილია, ლენინის მი-
ერ დაარსებულმა გაზეთმა „ისკრამ“
დიდი როლი შეასრულა რუსეთში
რევოლუციურ-მარქსისტული პარ-
ტიის შექმნაში. ექსპოზიცია მოგვით-
ხრობს „ისკრის“ საქმიანობის შესა-
ხებ. აქ წარმოდგენილი არიან გაზე-
თის მუშაკები 1900-1903 წლებში,
„ისკრის“ აგენტები, კავკასიელი ისკ-
რელები და სხვ. ექსპოზიციის მასა-
ლები დამთვალეირებელს ნათელ
წარმოდგენას აძლევს იმაზე, თუ რა-
ტომ მისცა გაზეთმა „ისკრამ“ ესოდენ
მაღალი შეფასება ბათუმელ მუშათა
გაფიცვებს.

თველოში საბჭოთა ხელისუფლების
დამყარებისათვის: ვრცლად არის
ასახული საბჭოთა ხელისუფლების
დამყარება აჭარაში. ცნობილია, რომ
დამარცხებულმა მენშევიკურმა მთა-
ვრობამ თავი ბათუმს შეაფარა, მაგ-
რამ მალე აქედანაც გაიქცა. 17 მარტს,
ლამით, შეიქმნა ბათუმის დროებითი
სამხედრო-რევოლუციური კომიტე-
ტი. 18 მარტს მე-11 არმიის ნაწილე-
ბი ბათუმში შემოვიდნენ. ამ მომენ-
ტებს ასახავენ ექსპონატები: ბათუმის
საოლქო რევკომის შენობის ფოტო,
წითელი არმიის მე-18 ცხენოსანი
დივიზიის მეთაური დ. ქლობა, მხატვ-
რული ტილო — „წითელი არმიის
ჯარისკაცები გოდერძის უღელტეხი-
ლზე“, საბჭოთა ხელისუფლებისათვის
მებრძოლთა ფოტოები, საქართვე-
ლოს რევკომის ბრძანებები და დეკ-
რეტები. ასახულია კომკავშირული
მოძრაობის წარმომადგენელთა საქ-
მიანობაც. დოკუმენტური მასალების
გარდა, მუზეუმის ექსპოზიცია მდი-
დარია ნივთიერი ექსპონატებით.

მუზეუმის სტაციონარულ ექსპო-
ზიციაში, აგრეთვე ი. ბ. სტალინის
სახლ-მუზეუმსა და საბრძოლო დიდე-
ბის მუზეუმში დამთვალეირებელს
შეუძლია ნახოს 3 000-მდე ექსპონა-
ტი. ფართოდ არის წარმოდგენილი
ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღ-
ვაწეობის ამსახველი ფოტოდოკუმენ-
ტები, გამოჩენილი რევოლუციონე-
რების — ი. ბაბუშკინის, ნ. კრუპს-
კაიას, მ. ცხაკაიას, მ. კალინინის, ფ.
მახარაძის, ი. სვერდლოვის, მ. კახიან-
ის და სხვათა ფოტოსურათები.
დამთვალეირებელი ეცნობა სა-
ქართველოში მარქსისტული ორგანი-
ზაციის — „მესამე დასის“ შემქმნე-

რუსეთის პირველი რევოლუციის
ამსახველი დოკუმენტებიდან, ნივთი-
ერ ექსპონატებთან ერთად, მუზეუმის
ექსპოზიციის მეორე განყოფილე-
ბაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი
ამ პერიოდის პარტიულ ლიტერატუ-
რას. გაშუქებულია ვ. ი. ლენინის
ბრძოლა რუსეთში ახალი ტიპის პარ-
ტიის შექმნისათვის.

სამი განყოფილება სახელმწიფო
მუზეუმის ახალ ფილიალში, საბრ-
ძოლო დიდების მუზეუმის ექსპონა-
ტებში. პირველ განყოფილებაში

ცხოველ ინტერესს იწვევს მასალები და ფოტოდოკუმენტები, რომლებიც ასახავენ ვ. ი. ლენინის ზრუნვას საბჭოთა შეიარაღებულ ძალებზე. მეორე, ძირითადი განყოფილება იხსნება სამამულო ომის პირველი დღეების ამსახველი ფოტოდოკუმენტებით. თანამიმდევრობით არის ნაჩვენები საბჭოთა არმიის გმირული ბრძოლები, გერმანელთა განადგურება მოსკოვთან, სტალინგრადთან, კურსკთან, ევროპის განთავისუფლება, ბერლინის შტურმი. ექსპოზიცია გვიჩვენებს, თუ ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის სხვა ხალხებთან ერთად რა დიდი წვლილი შეიტანა საქართველომ ფაშიზმზე გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

აქვეა აჭარის ასრ მკვიდრთა — საბჭოთა კავშირის გმირების, გამოჩენილი მხედართუფროსების, სამამულო ომის მონაწილე ქალების — პ. ანანიძის, ე. ინაიშვილის, ნ. კომახიძის, მ. კარანაძის, ა. მასხულისა, დ. ლლონტის, ქ. თურქიას და სხვათა ფოტოსურათები და მოკლე ბიოგრაფიები. ცალკეა გაშუქებული პარტიზანული მოძრაობა, ბრძოლა ყირიმსა და უკრაინაში, ნაჩვენებია ქართველ მეომართა საგმირო საქმეები უკნულ ტექსტებზე.

საინტერესოდ არის გადაწყვეტილი თემა — „აჭარის მშრომელები დიდი სამამულო ომის წლებში“. იგი გვიჩვენებს, რა დიდი წვლილი შეიტანა აჭარის სახალხო მეურნეობამ მტერზე გამარჯვებაში.

ექსპოზიცია მთავრდება სკკპ XXV ყრილობის მასალებით. აქ ნაჩვენებია აჭარის მშრომელთა წინასაყრილობო ვახტი, ყრილობის მუშაობის ამსახველი ფოტოსურათები, დელეგატები აჭარიდან და სხვ.

მუზეუმში საზოგადოებრივ საწყისებზე გახსნილია ბიბლიოთეკა. რომელიც სამამულო ომის თემაზე დაწერილ 800-ზე მეტ წიგნს ითვლის. ბიბლიოთეკა შეიქმნა მუზეუმთან არსებული პარტიის ვეტერანთა საბჭოს ინიციატივით. ვეტერანებს მხარში ამოუდგნენ ბათუმელი მოსწავლეები, რომლებიც აქტიურად აგროვებენ წიგნებს მუზეუმის ბიბლიოთეკისათვის. მკითხველს შესაძლებლობა აქვს, არჩეულ თემაზე იმუშაოს ბიბლიოთეკაში; საამისოდ აქ საუცხოო პირობებია შექმნილი.


მუზეუმმა პირველმა მოაწყო უნიკალური ექსპონატების ადგილზე მიტანილ ჩვენება. ამგვარი ღონისძიება განხორციელდა ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში და შუახევის რაიონის წყლისაყრის საშეფო კლუბში. ბამის მშენებლებს გავუზიარეთ ფოტოკომპლექტი, სადაც 100-მდე სურათი და დოკუმენტია.

რევოლუციური ტრადიციებით მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში დიდ როლს ასრულებს მუზეუმთან არსებული პარტიის ვეტერანთა საბჭო, რომელიც 50-ზე მეტ ვეტერანს აერთიანებს. ისინი სიტყვებით, მოხსენებებით, მოგონებებით გამოდიან ახალგაზრდების — კომკავშირელებისა და პიონერების წინაშე.

რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმის ფონდები სისტემატურად ივსება ახალი ექსპონატებით, რაც შემდგომ სრულყოფს დამთვალიერებელთა ცოდნას საქართველოს რევოლუციურ წარსულსა და მის აწყობზე.

იოსებ დავითაძე.

საქართველოს რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.



ალღანა ისტორიისა ერის გამოცოცხლება, გამხნევა, აფხოზ გაგება და წარმართვა, მერმისის გამოკვლევა სიხნელისაგან.

[Handwritten signature]

არქეოლოგიურ ძეგლებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ კაცობრიობის ისტორიის აღსადგენად. ამასთან ერთად, არქეოლოგიური ძეგლები და გათხრებისას მოპოვებული მასალები შეიცავენ ფასდაუდებელ ინფორმაციას გარდასული დროის ბუნებრივ მოვლენათა (კლიმატის, მაგნიტური ველის, კოსმოსური სხივების დეამიწაზე ზემოქმედების, ზღვისა და მდინარეების რეჟიმის და ა. შ.), მცენარეული საფარის, ცხოველთა სამყაროს და სხვათა შესახებ. ამიტომაც არქეოლოგიურ ძეგლთა კვლევის შედეგებს დღეს ფართოდ იყენებენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანიც.


თანამედროვე საზოგადოებაში არქეოლოგიის წინაშე დგას მეტად საპატიო მოვალეობა: დღევანდელ ადამიანსა და მომავალს.



დასავლეთ საქართველოში, იმერეთში, იქ, სადაც მესხეთის ქედის ჩრდილო განშტოებები ბორცვებად რიონის ჭალებს ერწყმიან, მდებარეობს დაბა ვანი.

ვანის ბორცვებიდან ერთ-ერთმა — „ახვლედიანების გორამ“ — გასული საუკუნის ბოლოს, საკმაოდ მოულოდნელად, მთელს საქართველოში გაითქვა სახელი: გაზეთ „დროების“ მკითხველები განსაცვიფრებელ სტრიქონებს კითხულობდნენ: ახვლედიანებმა, რომლებიც ამ გორის ძირში დასახლდნენ, „ერთ ადგილას იპოვეს სასაფლაო ქვითკირით ამოშენებული და შიგ ჯაჭვით დაბმული კაცის გვამი. ჯაჭვი რგოლით კისერზე ეცვა და რკინის პალოზე მიბმული იყო ფეხის წვივის ძვალთ. როცა ჰაერმა დაჰკრა, მტვრად წავიდა. დარჩა მხოლოდ ჯაჭვი და ერთი კბი-





ვალ თაობებს დაუბრუნოს მიწის წიაღში მოქცეული უვალაზე დიდი განძი — ადამიანის ნააზრევი და ნახელავი.

სწორედ საკვლევი საგნის თავისებურება განაპირობებს არქეოლოგიის სრულიად განსაკუთრებულ როლს თანამედროვე საზოგადოებაში.

XX საუკუნის მეორე ნახევარი არის ბუნებაზე ადამიანის გონების, ადამიანის გენიის უოველდლიური გამარჯვების ეპოქა. დღევანდელი საოცარი პროგრესის მთელი სიღიადის შეცნობა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ადამიანის ნააზრევისა და ნახელავის განვითარებას თვალს გავადევნებთ პირველი ნაბიჯებიდანვე — ქვის პრიმიტიული იარაღებიდან დღევანდელი ავტომატური მართვის კომპლექსურ მანქანებამდე. კაცობრიობას სამ მილიონ წელზე მეტი დასჭირდა იმისათვის, რომ ადამიანის გონებას დღევანდელ მწვერვალამდე მიეღწია. თანამედროვე არქეოლოგიის საპატიო ამოცანა ამ სამი მილიონი წლის მრავალი საიდუმლოს გამოძიება და მომავალი თაობებისათვის გაცნობა. მაგრამ მხოლოდ ეს არა! დღეს, როდესაც ადამიანი სამყაროს ბატონ-პატრონი გახდა, ჩვენი წინაპრების თითოეული ნახელავი და ნააზრევი ისევე ძვირფასია, როგორც საოჯახო რელიკვია. ვინ მოთვლის, წარსული ეპოქების მალალი აზრისა და ხელოვნების რამდენი უბერებელი ძეგლი დაუბრუნა კაცობრიობას არქეოლოგიის ნიჩაბმა. წარმოიდგინეთ, რა ღარიბები ვიქნებოდით დღეს, რომ არ გვქონოდა ნეფერტიტის მშვენიერი სახე და ვენერა მილოსელი, კრეტის სასახლეები და მაიას პირამიდები, პელას მოზაიკები და ფაიუმის ფრესკები, თრიალეთის, ვანისა და მცხეთის ოქრომქედლობის განსაცვიფრებელი ნიმუშები... ძველი ხელოვნების ეს შედევრები ადამიანთა მოდგმის კიდევ მრავალ ათეულ

თაობას მოიყვანს ალტაცებაში, აამაღლებს და გააამაყებს მას...

არქეოლოგიური მონაპოვარი თანამედროვე ადამიანს უღვივებს ადამიანის გონების და საერთოდ პროგრესის რწმენას. ამიტომ არქეოლოგიური ძეგლების დაცვა საბჭოთა სახელმწიფოს განსაკუთრებული ყურადღების საგანი, საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია.

1976 წლის 29 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო სახელმწიფო კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“. ამ უაღრესად დიდი მნიშვნელობის დოკუმენტში განსაზღვრულია ისტორიისა და კულტურის ძეგლთა უდიდესი მეცნიერული, მხატვრულ-ესთეტიკური და კულტურულ-აღმზრდელი მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებაში და ამავე დროს საქმოდ ამოწურავად და ნათლად არის რეგულირებული კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მრავალფეროვანი ასპექტები.

ახალ სახელმწიფო კანონში ერთ-ერთი საპატიო ადგილი კულტურის ძეგლთა შორის მიჩნეული აქვთ არქეოლოგიურ ძეგლებს უკლებლივ ყველა კომპონენტითურთ.

სახელმწიფო კანონში ჩამოთვლილია ყველა სახის არქეოლოგიური ძეგლი: „ნაქალაქები, ყორღანები, ძველი დასახლებების, ციხე-კოშკების, საწარმოების, არხების, გზების ნაშთები, ძველი სამაროვნები, ქვის ქანდაკებები, კლდეზე გამოსახულებები, ძველი ნივთები, ძველი დასახლებული პუნქტების ისტორიული უბნები, კულტურული ფენები“. ყველაფერი ეს გამოცხადებულია სახელმწიფო დაცვის საგნად.

ამრიგად, გრანდიოზულ ახალმშენებლობათა ეპოქაში, რომლის მონაწილედ დღეს ჩვენი თაობა, განუზომლად იზრდება არქეოლოგიის როლი თანამედროვე საზოგადოებაში. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს

არქეოლოგიური ძეგლებით ისეთი მდიდარი ქვეყანაში, როგორც საქართველო, აქვთ მიწის უოველი გოჭია დაუურსული არქეოლოგიური ნაშთებით. ამდენად გადაუდებელი ამოცანაა ახალმშენებლობებზე სამუშაოთა დაწყებამდე წინასწარ განხორციელდეს არქეოლოგიური კვლევა-ძიება.

ამიტომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ახლად ჩამოყალიბებულ არქეოლოგიური კვლევის ცენტრს უმთავრესად დიდ ახალმშენებლობათა ზონებში მოქცეული არქეოლოგიური ძეგლების შესწავლაზე აქვს გადატანილი ყურადღება. ეს სამუშაოები ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეში მიმდინარეობს. ყოველწლიურად ხდება უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობის აღმოჩენები: მიკვლეულია ადამიანთა საზოგადოების განვითარების ადრინდელი საფეხურის — ქვის ხანის ძეგლები, ძვ. წ. V—IV ათასწლეულების ადრესამიწათ-მოქმედო დასახლებანი, ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის (ე. ი. ძვ. წ. III—II ათასწლეულების) გრანდიოზული ყორღანები, ძვ. წ. II—I ათასწლეულების ადრეკალაქური ტიპის სამოსახლოები და ვრცელი სამაროვნები, ანტიკური და შუა საუკუნეების ურბანისტული ცენტრები და ა. შ.

არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი მეტად მრავალფეროვანი მასალის საფუძველზე მეცნიერები ადადგენენ ჩვენი ხალხის ისტორიის აქამდე სრულიად უცნობ ფურცლებს ადამიანის გაჩენიდან ვიდრე გვიან საშუალო საუკუნეებამდე. ჟურნალ „პიონერის“ ამ ნომერში ნორჩი მკითხველები ამჭერად გაეცნობიან ქართველი არქეოლოგების მხოლოდ ზოგიერთ აღმოჩენას. სხვების შესახებ კი მომავალში ვისაუბრებთ.

მთარ ლორთქიფანიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

მანის სასკლავო

ლი“... შემდეგი ფრაზა კიდევ უფრო საოცარი იყო. „აქ ისე წვიმა არ მოვა, რომ ახვლედიანების კარებთან არ ჩამოიტანოს გორიდან ნიღვარმა ხან ოქროები, ხან ოქროს ძეწვევი, ბეჭდები, ხან რა და ხან რა...“


პირველი არქეოლოგი, ვინც ვანის საიდუმლოს ახსნა სცადა, იყო ჩვენი სასიქადლოლო მოღვაწე, ქართული კულტურის თავდადებული ქომავი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც 1896 წელს ყოფილა ვანში.

ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობის შემდეგ კარგა ხანი გავიდა, ვიდრე ადამიანებმა არქეოლოგიისათვის

და არქეოლოგებმა ვანისათვის მოიკალეს.

1947 წელს საფუძველი ჩაეყარა ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციას. რომელიც ამ პირველი სეზონიდან დღემდე წარმატებით აგრძელებს მუშაობას. ექსპედიციას სათავეში ჩაუდგა პირველი ქართველი არქეოლოგი ქალი ნინო ხომტარია.

გათხრები დაიწყო ახვლედიანების გორის თავზე. სადაც ათიოდე წლით ადრე ადგილობრივი მცხოვრებლები თურმე თლილი ქვისაგან ნაგები კედლის ნაშის წააწყდნენ. სულ მალე გამოჩენა იწყო დიდი ზომის კარგად



დაბა ვანი, ხელი „ახვლედიანების გორიდან“.

გათლილი ოთხკუთხა ქვების (კვადრების) წყობამ და თანდათან გამოიკვეთა ოთხკუთხა ნაგებობა, რომ-



ძვ. წ. III ს.
საკულტო
ნაგავობის
ნაშთები

ძვ. წ. III ს.
ოპროს
ძეწავი,
ძიძვები
და
მონეტა.

ლის კედლებს გარეთ ქვიშაქვისაგან გამოთლილი სამოცი ცალი მრგვალი ჭურვი ნახეს. ამავე ნაგებობის ქვემოთ. ფერდობზე. მიწის არცთუ ისე სქელი საფარველის ქვეშ, აღმოჩნდა სასიმაგრო თავდაცვითი კედლის დიდი ნაწილი. კედლის საძირკველი ქვიშაქვის ფილაქნებით იყო აგებული. ზედა ნაწილი კი — გამომწვარი თიხის ბლოკებით. კედელი, ისევე, როგორც შენობა, წინათ თურმე გადახურული იყო მასიური, მძიმე კრამიტებით, რომელთაგანაც თითოეული 16-18 კგ-ს იწონიდა. ამ თავდაცვითი კედლის ორივე მხარეს ისევ ჭურვები იყო. ოღნავ მოშორებით კი ექსპედიციამ გათხარა სამი სამარხი, რომლებშიც აღმოჩნდა ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭელი, ბრინჯაოს, ვერცხლისა და რკინის სამკაულები — სამაჯურები, ზანზალაკები, სარტყლის ბალთა და სხვა.

ახვლედიანების გორის ამ მცირე ნაწილის მთლიანად შესწავლას, ნაგებობათა და სამარხების გამოვლენას კიდევ ოცდაათი წლის დაუღალავი შრომა დასჭირდა... სულ აქ გაითხარა 7 სამარხი. ქვისაგან ნაგები ექვსი შენობის ნაშთი და ერთი ხის ნაგებობა. სამარხებიდან ორი არქეოლოგებს გაძარცვული დახვდათ. აქ იყო მხოლოდ ერთი ოქროს ბეჭედი და ოქროს რქოსანი ლომის თავებით შემკული ყელსაბამი, რომლებიც მთარეველებს, როგორც ჩანს, სიჩქარეში დაუვარდათ.

ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია აგრძელებდა გათხრებს. სავლემ მუშაობის სეზონები ერთმანეთს მისდევდა და ვანის სიძველეებით და საიდუმლოებით დაყურსული მიწაც

ნელ-ნელა შლიდა ძველი ისტორიის აქამდე უცნობ და სრულიად ახალ ფურცლებს...

ცხადი გახდა, რომ ახვლედიანების გორაზე ანტიკურ ხანაში, უფრო ზუსტად კი ძვ. წ. III-I სს-ში, პერიოდში, რომელსაც არქეოლოგები ელინისტურ ხანას უწოდებენ, არსებობდა მდიდარი და ეკონომიკურად ძლიერი ქალაქი, რომელსაც გარშემო ორნახევარ მეტრზე მეტი სიგანის ქვის მისაღარი გალავანი ჰქონდა შემორტყმული. ეს ქალაქი აღმოცენდა იმ ძველი დასახლების ადგილას. რომელიც აქ ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII-VII სს-დან არსებობდა და რომელიც ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში კოლხეთის ძლიერი და მდიდარი სახელმწიფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ცენტრი იყო. ვანის დასახლების პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიძლიერეს ადასტურებს მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა, განსაკუთრებით კი ამ ხანით დათარიღებული მდიდრული სამარხების არსებობა.

ერთი ასეთი სამარხთაგანი 1969 წელს გაითხარა ე. წ. ცენტრალურ ტერასაზე. შემდგომ გამოირკვა, რომ იგი ეკუთვნოდა წარჩინებულ კოლხ ქალს, რომელიც დიდი პატივით დაეკრძალათ ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარში იმავე ბორცვზე, სადაც თავისი არცთუ ისე ხანგრძლივი სიცოცხლე გაეტარებინა.

ამ სამარხში აღმოჩნდა ფრიად საინტერესო არქეოლოგიური მასალა, რომლის უძველესი ნაწილი ადგილობრივი, კოლხური წარმოებისაა, დანარჩენი კი შემოტანილია საბერძნეთიდან და მცირე აზიის სხვადასხვა საწარმოო ცენტრებიდან. უკვე

ეს ფაქტაც თავისთავად საინტერესოა! იგი გვაუწყებს, რომ აქამდე უცნობი კოლხეთის მოსახლეობის სიძველემ მტკიცე სავაჭრო ეკონომიკური კავშირი ჰქონია ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებთან. ადვილი წარმოსადგენია, რა დაინტერესებული უნდა ყოფილიყვნენ ბერძენი ვაჭრები ოქრომრავალი კოლხეთით, რომ ასეთი ძნელი და შორი გზა ევლოთ, მით უფრო, რომ იმ დროს ხომალდები ჯერ კიდევ ვერ სერავდნენ ზღვებს



მოკლე გზით და მხოლოდ ე. წ. კაბოტაჟურ (ნაპირის გაყოლებით, ნაპირის გასწვრივ) ცურვას ეწეოდნენ. ისინი კოლხეთში იძენდნენ შესანიშნავ სელის ნაწარმს, რომელიც, ცნობილი ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს სიტყვებით რომ ვთქვათ (ძვ. წ. V საუკ.), არაფრით ჩამოუვარდებოდა საქვეყნოდ განთქმულ ეგვიპტურ სელის ნაწარმს.

ამ სამარხში აღმოჩნდა კოლხური ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუშებიც, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია კუს ოცდათერთმეტი მინიატურული გამოსახულება. ყველა მათგანი, ისევე როგორც აქ აღმოჩენილი ოქროს სხვადასხვა ფორმის საყურეები, შემკულია ე. წ. ცვარათი. ესაა ოქროს პატარა ბურთულაკები, რომელთა დიამეტრი ნახევარ მილიმეტრს არ აღემატება. საყურეებზე მრავალრიცხოვანი ასეთი ბურთულაკები, რომლები, ვარდულები, ჩიტების გამოსახულებებია გამოყვანილი... როგორი დაოსტატებული უნდა ყოფილიყო ის ხელოსანი, ვინც ასეთი ბრწყინვალე გემოვნებითა და ხელოვნებით ამკობდა ნივთებს!

სულ ამ სამარხში, გარდა მეცნიერული თვალსაზრისით მეტად საინტერესო ბრინჯაოს და თიხის ჭურჭლისა, აღმოჩნდა ათას ორასზე მეტი ოქროს ნივთი. ხელოვნებისა და ხელოვნობის ეს აუარებელი, შესანიშნავი



ნავი ნიმუშები მხოლოდ რაღაც სასწაულით გადაურჩა გაფანტვა-განიაკვებას და ბედნიერი შემთხვევის წყალობით შემოინახა ვანის მიწამ. სამარხის შესწავლისას დადგინდა, რომ მას არქეოლოგებზე ადრე ვიღაც წასწყდომია და გულმოდგინედაც უთხრია კიდევ. მამ, როგორღა გადარჩა ყველაფერი?..

...არავინ იცის, რომელ წელს ან რომელ საუკუნეში. მაგრამ ცხადია, რომ სწორედ გაზაფხულის სრულიად ჩვეულებრივ დროს, ახვლედიანების გორის ცენტრალურ ნაწილში, ფერდობზე გაშენებულ ვენახში მომუშავე გლეხაკს ბედმა წილად არგუნა განეცადა ის დიდი მღელვარება და მოლოდინის ის გაუთავებელი წუთები, რომელიც სამარხის აღმოჩენას ახლავს ხოლმე თან. ვენახის ბოლოში, იქ, სადაც პატარა, ახლად კვირტებამოყრილი ალუბლის ხე იდგა, ბარის წვერმა რამდენჯერმე ზედიზედ გაიღრქიალა. გლეხაკი მიჩვეული იყო თავის კარშიდამომი დიდი, გათლილი ქვების პოვნას და ამიტომ არც ეს ღრქიალი გაპკვირვებია. მიწა გადასწია და ქვის ამოღება დააპირა, მაგრამ გათლილი კვადრის ნაცვლად რიყის ქვებს მოჰკრა თვალი. შეცბა, რადგან გამოცდილებითა და მეზობლების ნაამბობით კარგად იცოდა, რომ ასეთი რიყის ქვებით აქ ძველი სამარხები იყო დაფარული... ბევრი აღარ უფიქრია, ცოტა კიდევ მისწი-მოსწია მიწა და რიყის ქვების ამოყრას შეუდგა. თან ფრთხილად მუშაობდა, რომ ვენახი არ დაეზიანებინა და ამიტომ რიგებს შორის ვიწრო თხრილის ჩაქრა გადაწყვიტა... მზე გადაიწვერა, უკვე ბორცვის წვერზე მოშრიალე მუხებს შემოასკუპდა კენწეროზე.

გლეხაკი გამალებით მუშაობდა. უკვე აღარც ვენახს ერიდებოდა. შებინდებისას ბარის პირი ქვის მაგივრად რაღაც რბილს მოხვდა, ხოლო მალე გლეხაკმა იგრძნო, რომ ბარი უკვე კლდის ქანს ხვდებოდა. „ნუთუ გაძარცვულია?!“ — მან კიდევ უფრო გააფართოვა თხრილი. ისევ კლდე! შემდეგ ვენახის ძირის გაყოლებით ორი მეტრის სიგრძეზე საგულდაგულოდ მოსინჯა ნიადაგი. ისევ კლდე იყო, ცივი და ცარიელი. რაიმე ქურჭლის ნატეხიც კი არ გამოჩენილა!

გლეხაკმა ბარი მიავდო. გამთენიისას ამოყრილი მიწა ისევ ფრთხილად ჩააბრუნა. მაგრამ რა იცოდა მან, რომ სამარხის სწორედ ის ნაწილი გათხარა, სადაც არც ერთი ნივთი არ იდო. ის იყო ერთადერთი ცარიელი ადგილი მთელ სამარხში. სამარხის იყო, მას თხრილი კიდევ

ერთი მტკაველით მარცხნივ ან მარჯვნივ გაეფართოებინა და ამ უზარმაზარი სიმდიდრის მფლობელი გახდებოდა!..

მაგრამ არქეოლოგიის მიზანი სიმდიდრის ძიება როდია. იგი შეისწავლის იმ კულტურის ნაშთებს, რომელსაც ადამიანი ქმნიდა მთელი თავისი არსებობის მანძილზე — თიხისა და ლითონისაგან დამზადებულ ქურქებს, ქანდაკებებს, სამკაულებს, ქვისა და ხის ნაგებობებს, სამეურნეო და საბრძოლო იარაღებს და სხვ. უძველესი დროის, არქეოლოგიური ქვის ხანის მთავარი შრომის იარაღი იყო ქვისა და ვულკანური მინისაგან დამზადებული იარაღი. ვადიოდა ათასწლეულები. ადამიანმა ისწავლა ლითონის მოპოვება და დამუშავება. მისგან სამეურნეო და საბრძოლო იარაღის დამზადება. მაღალხარისხოვანი იარაღი კი ბევრი პროდუქტის შექმნას უწყობდა ხელს. გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც სხვებზე გაცილებით მეტი ქონება დაუგროვდათ: გაჩნდნენ მდიდრები და ღარიბები, მონები და მონათმფლობელები. სწორედ ეს სოციალური ფოკუსა

რომომძლერება და ცხოვრების წესი გიერთი დეტალი. ასევე მისი წესი ნულება.

ქალაქი სამ ტერასაზე იყო განლაგებული და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსლაური თავდაცვითი კედლით შემოზღუდული.

შესასვლელი ჩრდილოეთის მხრიდან ჰქონდა. მთლიანად გათხრილი და შესწავლილია კარიბჭის კომპლექსი, რომელიც აგებულია იმდროინდელი საფორტიფიკაციო (თავდაცვითი) საქმის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით — კედლის ქვედა ნაწილი აშენებულია დიდი, კარგად გათლილი და ერთმანეთზე ლითონის სამაგრებით დაკავშირებული კვადრებისაგან, რომელზეც გამოუწვევი თიხის აგურის წყობაა ამოყვანილი.

ასეთი კედელი კარგად უძლებდა იმ დროისათვის ისეთ მრისხანე იარაღსაც კი, როგორც ქვის ქურვებია. ნაქალაქარის ყველა ტერასაზე დიდძალი ქურვებია აღმოჩენილი. მათ ე. წ. კატაულტებით ტყორცნიდნენ და იყენებდნენ არა მხოლოდ შეტევისას. არამედ თავდაცვის დროსაც. ვანის კარიბჭის კომპლექსში კე-

მ. წ. III-I სს. სამარხი. კოვალეჟსი. თლილი ქვისაგან ნაგავა ან შესანიშნავი შენობას მიწის ოთხმეტრიანი ფენა ელრ შემოღან.



არსებობდა ანტიკურ ხანაში. ე.ი. იმ დროს, როდესაც ვანში ძველი ქალაქი არსებობდა.

ნაქალაქარის დღევანდელი შესწავლობის დონე უკვე იძლევა საშუალებას მეტ-ნაკლები სიზუსტით წარმოვიდგინოთ, როგორც მისი ხუ-

დლის ვასწვრივ აღმოჩენილია ქურვების მარაგი, რომელიც ბრძოლის დაწყებამდე სპეციალურ სათავსებში ინახებოდა.

კარიბჭიდან ქალაქისაკენ მშენებრად მოკირწყლული ქუჩა მიემართებოდა. ამ ქუჩას, რომლის ნაწილი

მონოქსი ქეიქსი

გიორგი პაპაშვილი

მხატვარი
ზურაბ ფორჩხიძე

მტრებისაგან დასუსტებულ საქართველოს მოსპობა ემუქრებოდა. იგი შევლას ითხოვდა. და სწორედ ამ დროს სამეფო ასპარეზზე გამოჩნდნენ თეიმურაზ მეორე და მისი ვაჟი ერეკლე, რომლებმაც მამულის გადარჩენა იტვირთეს და ძალღონე შეაღიეს ამ საქმეს. ამას მოგვითხრობს რომანი „მორეული ციალი“.

პირველი წიგნის დასაწყისში თეიმურაზის სახელეული მთაშია გახსნული. ფშავ-ხევსური ბიჭებთან დამეგობრებულ პატარა კახი ჭირითსა და ფარეკობაში იწვრთნება. როცა დაიღვბა, თავის ტოლ-მეგობრებთან ერთად კლდის თავზე აფოფხდება, გულადმა წამოწვება. უძირო ზეცას თვალს გაუშტერებს და საქართველოს თავისუფლებასაც იცნებობს.

მთაში ამბავი ამოაქვთ, გათათრებული კონსტანტინე მეფე მოკლესო. მალე კახეთიდან დიდებულთა ერთი ჯგუფი ამოღის და თეიმურაზს სამეფო ტახტზე იწვევს. დიდებულებთან ერთად რამდენიმე ფშავ-ხევსური თეიმურაზის სახელეულს თელავისკენ მიაცილებს, მიმავალნი გზად მოთარეშე ლეკებს გადაეურებიან და შეტაკებაში იღუპება ერეკლესთვის საყვარელი ბებუა. ეს წარუხმოცელ შთაბეჭდილებას ახდენს ჭაბუკ ბატონიშვილზე და შურისძიების გრძობით აღნთებს.

თელავში მეფური წესით ზრდიან ერეკლეს, მაგრამ მისი აღმზრდელი გივი ჩოლოყაშვილი ასე მიმართავს თეიმურაზს:

— ერეკლე ტყეში მინდა წავიყვანო. კარავს გავშილი და ორიოდე კვირას დავრჩებით. სასახლის ზნეობა უბადლოდ შეისწავლა, მაგრამ ხალხის პატრონმა ხალხის ჭირ-ვარამიც კარგად უნდა იცოდეს, გაჭირვებული ცხოვრების ყადრი უნდა გაიგოს.

გივისთან ერთად ერეკლე და მისი მეგობრები (ჭიმშერი, პატარკაცი, იოთამი და პატარა ცუცა) ტყეში არიან. დაჭიმეს კარავი და წვიმაც დაიწყო. რამდენიმე დღეს აღარ გამოიდარა. ბიჭებმა ზღაპრები გამოათავეს და მოიწყინეს. საქმე იქამდე მივიდა, გივის რჩევით, გამოდარებას ღმერთს შესთხოვეს: „ახ, ლაზარე, ლაზარე... აღარ გვინდა ტალახი, ღმერთო, მოგვე გორახიო“...

ახლა კი რომანის ნაწევრები წაიკითხეთ!

ქის გარშემო მიმოფანტული იყო პატარ-პატარა დასახლებები, რომელთა მოსახლეობა ძირითადად სოფლის მეურნეობას — ხვნა-თესვასა და მესაქონლეობას მისდევდა.

ერთი პატარა დასახლება ვანის ქალაქს რიონის პირასაც ჰქონდა. ეს ადგილი, ახლანდელი საყანჩია, პატარა, ნავსაყუდელიანი დასახლება იყო და საეპქრო და სახელოსნო დანიშნულება ჰქონდა, ფოთიდან, ძველი ფაზისიდან რიონში შემოცურებული ხომალდი აქ შეყვინდებოდა ხოლმე და შემდეგ ისევ განაგრძობდა ცურვას შორაპნისაკენ, რომელსაც ძველი ბერძნები „სარაპანის“ ეძახდნენ. სწორედ ამ ძველ ქალაქამდე იყო სანაოსნოდ გამოსადეგი რიონ-ყვირილას მაგისტრალი. ამის შესახებ ძვ. წ. I საუკუნის ცნობილი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონიც წერდა. სხვათა შორის, იგი იმასაც აღნიშნავდა, რომ მის დროს რიონზე ასოცი ხიდი იყო გადებული.

დაბოლოს, ბუნებრივია, ისმის კითხვა, თუ რა ეწოდებოდა ამ ქალაქ-ტაძარს. ზუსტი და დამაჯერებელი პასუხის გაცემა ამ კითხვაზე ჯერჯერობით შეუძლებელია. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ამჟამინდელმა ხელმძღვანელმა, პროფესორმა ოთარ ლორთქიფანიძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს უნდა იყოს სტრაბონთან მოხსენიებული ქალაქი-ტაძარი ლეკვოთეა.

ვათხრები ახვლედიანების გორაზე გრძელდება... ისევ და ისევ ჩნდება თიხისა და ლითონის ჭურჭელი, კრამიტები და ჭურვები, ქვითა და ალიზით ნაგები კედლები... და ისევ და ისევ ჩაჰკირკიტებენ არქეოლოგები ყოველ ქვას, ყოველ ნატეხს, რომლებმაც ნელ-ნელა, მაგრამ მინიმალურად გაამხილეს საუკუნეების მიერ საგულდაგულოდ მიწით დაფარული ყველა საიდუმლო.

3. ლიჩალი,

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი.



პირძვის სპეიინსაჲნი, ძვ. წ. III ს.

(თვრამეტი მეტრის სიგრძეზე) დღემდე შემორჩენილი, ქვედა ტერასაზე განლაგებულ სატაძრო კომპლექსთან მიჰყავდა მიმსვლელი. ეს რთული და ორიგინალური დაგეგმარების მქონე კომპლექსი ზოგან ოთხ მეტრამდე სისქის მიწის ფენით იყო დაფარული. იგი თარიღდება ძვ. წ. III-III საუკუნეებით: შედგება რამდენიმე დარბაზისაგან. ერთ-ერთ მათგანში სხვადასხვა ფორმისა და ზომის უამრავი თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა. ზოგიერთი, კერძოდ, კედელთან მიწყობილი ქვევრები, სადაც იყო ნაგებობის ნგრევის დროს გაჩენილი ცეცხლისაგან მთლიანად დანახშირებული ქერითა და ხორბლით.

ამ ტაძრისაგან ორმოცდაათიოდ მეტრის მოშორებით, უკვე ცენტრალურ ტერასაზე მდებარეობს კიდევ ერთი გრანდიოზული ტაძრის ნაშთები, რომელთა შესწავლა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. სწორედ ამ ტაძრის შესწავლის დროს აღმოჩნდა ე. წ. პერგამულ სტილში შესრულებული, მეტად დინამიური და ემოციური იერის მქონე ბრინჯაოს ნიღბები — მევენახეობა-მეღვინეობის ღმერთის დიონისეს თანამეინახეთა — მენადების, პანის, სატროს გამოსახულებები. მათთან ერთად აღმოჩნდა გამარჯვების ქალღმერთი ნიკეს თვრამეტანტიმეტრიანი ბრინჯაოს ქანდაკებაც.

ცენტრალურ ტერიტორიაზე არის კიდევ ერთი ტაძარი, ე. წ. მრგვალი ტაძარი, რომლის მახლობლად ექსპედიციამ სამი უზარმაზარი, კირქვისაგან გამოქანდაკებული ლომის თავი აღმოაჩინა.

ზედა ტერასაზე გათხრილია რამდენიმე ნაგებობის ნაშთი, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ისევ საკულტო ნაგებობის გადარჩენილი ნაწილი — თლილი ქვისაგან ნაგები საფეხურები (ძვ. წ. III-I საუკუნეები). წვერიდან, ხელისგულივით იშლება დაბლობი: ათეულ განშტოებად დაფანტული რიონი, რომელსაც დროთა განმავლობაში თანდათან ჩრდილოეთისკენ გადაუნაცვლებია: რიონის ჭალები, ჩრდილოეთით ამწვანებულ ხოდაბუნებში რომ იკარგება, და შორს, ღრუბლებში თავთეთრა კავკასიონის ქედი...

...ანტიკურ ხანაში ვანის ქალაქი იყო მის გარშემო მდებარე ტერიტორიის ცენტრი, და თანაც საკმაოდ არაჩვეულებრივი — მას საკულტო დანიშნულება ჰქონდა, ტაძარ-ქალაქი იყო და ახლომახლო ტერიტორიის მოსახლეობა ღმერთებისადმი თავისი თაყვანისცემისა და პატივისცემის გამოსახატავად აქეთ მოემართებოდა ხოლმე. ვანის ტაძარ-ქალა-



მეორე დილას, ყველას გასაოცებლად, ისეთი ჩახჩახა მზე ამოვიდა. ცვარსაც კი თვალევი დაუბრმავეა.

— ღმერთმა გვიშველა.

— წმინდა ელიამ გვისმინა.

— რატომ აღრევე არ გავისხენო ლახარეს ლოცვა? — აჭრიაშულდენ გახარებულები.

— თქვენა გგონიათ, ლოცვით გამოიყვანეთ ეს ჩახჩახა მზე? — გავლიმა გივი ჩოლოყაშვილს.

— მამ რატომ გუშინ და გუშინწინ არ გამოვიდა?

— გუშინ საღამოთივე შევნიშნე, რომ დღეს კარგი დარი უნდა გამოსულიყო და იმიტომ გირჩიეთ, ელიას შესთხოვეთ-მეთქი გამოდარება.

— ახლა რა გავაკეთოთ?

— მზე რომ მოხურდება და ნამი შეშრება, ორი კაცი სანადიროდ გავივლით, ორნი შეშაზე გავლენ, ცუცა და ერთი კაცი კი კარავში დარჩებიან და აქაურობას თადარიგში მოიყვანენ. ჰო, მართლა, მერე წნელი უნდა მოვჭრათ და ტახტები დავიწნათ. უფლისწულსა და თავადიშვილებს ძირს წოლა არ გვეკადრება, — განაცხადა გივი ჩოლოყაშვილმა.

ცუცამ კარავში დარჩენა იუარა, მაგრამ მამობილმა შეაგონა, პატარა ხარ, სველი ბალახი მუხლამდე მოგწვდება და გამიცვივდები. მაინც იჯიუტა და მამინლა დაეთანხმა, როცა უთხრეს, შენთან ერთად ერეკლე დარჩებაო.

ერეკლემ წესრიგში მოიყვანა კარავი, მერე ცუცასთან ერთად მაცვალსა და თხილზე გავიდა. იხტუნეს, ითამაშეს, იხუმრეს, იცინეს და ბოლოს ისევ კარავში შევიდნენ. ნაბადი გაშალეს და გულადმა გაიშხლართნენ.

— თვალევი დავხუჭოთ და ვიფიქროთ რამეზე! — თქვა ერეკლემ.

— ვიფიქროთ.

— ხმა არ ამოვიღოთ!

— არა.

თვალწინ ოთარ ჯავახიშვილის სახლ-კარი წარმოუდგა ერეკლეს. ეზოში თინათინი გამოსულიყო და გაშლილ ვარდს უაღერსებდა. აი, ვარდს ერთი ფურცელი მოაცალა და ტუჩზე აიკრა. ტუჩი და ვარდის ფურცელი ერთნაირი ფერისა იყო. მერე ეზო გადაიარა და მინდორზე გავიდა თინათინი. მინდორზე აუარებელი ყაყაჩო ყვოდა. თინათინმა ყველაზე უფრო ძალადი და ლამაზი ყაყაჩო მოწყვიტა, ფურცლები გააცალა და ლოყებზე აიკრა. ხელში შავწამწამებიანი ყაყაჩოს ღერო დარჩა.

რა ძალიან მიაგავს ყაყაჩოს წამწამები თინათინის წამწამებს!

— ბატონიშვილო, შენ უფრო ღონიერი ხარ თუ მამაჩემი? — იკითხა ცუცამ.

— მამაშენი.

ცუცა სიამოვნებით გადაკოტრილდა, მაგრამ უეცრად შეეცოდა ერეკლე და გული გაუკეთა:

— შენ უფრო ღონიერი იქნები, როცა უფრო დიდი გაიზრდები!

— მთავარი ღონე არ არის, ცუცა.

— მამ, რა არის?

— მთავარია, არ გეშინოდეს.

— ვისი?

— არავისი... და მთავარია, გიყვარდეს.

— ვინ?

— შენი სამშობლო.

— მე ყველაზე ძალიან მამაჩემი მიყვარს და შენ მიყვარხარ.

— კიდევ?

— კიდევ... გოჭები მიყვარს, ბატონები, ძაღლები, კატები, დათვები... ვაიმე, ის რა არის?

— სადა, ცუცა?

— მგონი, დათვია!.. ვაიმე, ნამდვილად დათვია.

— ნუ გეშინია, ცუცა! დამანახვე, სად არის?!

— აი, იმ წიფლის იქით, ბატონიშვილო. აქეთ გაიხედ!

— დათვია, ცუცა. კარავში შეიმაღლე და ფეხი არ გამოდგა!

— იქნებ ჯიმშური გვაშინებს?

— არა, ნამდვილად დათვია, — მუხლებზე წამოდგა ერეკლე, ხანჯალი შეისწორა და საკიდიდან თოფი ჩამოიღო.

— შეგვკამს, ბატონიშვილო! —

დაიხურჩულა გულამოძვარმა ცუცამ და უკან გაფოფხდა.

— გაჩუმდი, ხმა არ ამოიღო! — დატუქსა ერეკლემ ცუცა, კარვიდან დაკუზული გავიდა, ბუჩქს ამოეფარა და ჯუჯა წიფლამდე მიცოცდა. იქიდან უფრო ნათლად დაინახა დათვი — პანტის ქვეშ დააბოტებდა და რაღაცას სუსნავდა.

„თუ შენ არაფერი დაუშავე, დათვი არას გერჩის“, — გაახსენდა გივის ნათქვამი, მაგრამ ხომ შეიძლება, შეშაზე გასული ჯიმშური და პატარაკაცი ზედ წამოაწყდნენ? არა, უკან დახევა არ შეიძლება!

ერეკლემ კიდევ ერთ ზესთან გადაინაცვლა და ხუთიოდე საეუნზე დასცილდა კარავს. იმის იქით უკვე დიდი წიფელია. იმ წიფლამდე რომ მიფოფხდეს როგორმე... აჯობებს. ერეკლე მიწას გაეკრა და წიფლისკენ გაცოცდა, მაგრამ დათვმა თითქოს რაღაც იყნოსა, თავი აიღო, ყურები აცქვიტა და დაოთხილი შემოიენთო აღმართზე.

დაცდა აღარ შეიძლებოდა. ერეკლე მუხლებზე წამოდგა, შუბლში დაუმიზნა და ჩახმახი დასხლიტა. ყველაფერი ბოლში გაეხვია. როცა ბოლი გაიფანტა, დათვმა უკვე გორაობა მოათავა, ზურგზე უკულმ. გადატრილდა და, როგორც იყო, წამოიშარტა. ერეკლე მიხვდა, რომ დათვი დაიჭრა, მაგრამ ჯერ ისევ შეეძლო ბრძოლის გაგრძელება. იქნებ ჯობია, ხეზე ავარდეს და ხელახლა გატეხოს თოფი? მაგრამ ცუცა კარავშია და თუ დათვი შეუფარდა... ერეკლემ ცარიელი თოფი იქვე მიავლო და ხანჯალი იშიშვლა. ამასობაში დათვი უკანა ფეხებზე შემართული-

Handwritten notes and stamps at the bottom of the page.



ყო და ტორტმანთ მოუყვებოდა აღმართს, ბატონიშვილი მიხვდა, რომ დათვის უყვე სიარული უჭირდა და უფრო გათამამდა. ხანჯლის ვადა ღონიერად ჩაბლუჯა და შესაგებებლად გაემზადა.

— ერეკლე, რა მოხდა? — მოისმა ველიანიდან.

— ერეკლე! — მოიჭრა სხვა მხრიდან მეორე ხმა.

— ეპეუ! — დაიძახა ვილაცამ და თოფი გავარდა.

— მოდი, შე ბურღლუნავ! — შესძახა ერეკლემ და გაბედული ნაბიჯით დაეშვა დათვისკენ. აი, მიუახლოვდა. თითქოს მისი სუნიც კი ეცა, მაგრამ მოულოდნელად დათვი ოთხფეხზე ჩამოხტა, ზურგი აქცია და ხევისკენ წალასლასდა. ქეჩიდან ვადმონადენი სისხლი ზურგზე გადასხმოდა და ბეწვებზე წურწურით ჩამოსდიოდა.

ერეკლე შეჩერდა და ერთ ალაგას გაირინდა. მოეჩვენა, რომ ვილაც კეთილ ბერიკაცს ესროლა, რომელიც არას ერჩოდა არც მას, არც ცუცას და არც, საერთოდ, ადამიანთა მოდგმა-ნაშვიერს.

— მტერი მაინც ყოფილიყო ეგ შეჩვენებული! — ჩაიბუზღუნა და სველ ბალახზე უღონოდ დაეშვა.

— რა მოხდა, ბატონიშვილო? — ქოშინით მოიბრინა გივი ჩოლოყაშვილმა. გივის იოთამი მოჰყვა თვალის დახამხამებაზე, ჯიშმურია და პატარაკაცს გაჩნდნენ საიდანაც, ქშიტირითა და შუბლზე ოფლის წმენდით.

— დათვი იყო, — სული მოითქვა ერეკლემ.

— ხომ არა გავნო რა?

— არა. ვესროლე.

— რა იქნა?

— იქით წაძუნძულდა. მგონი დავჭერი.

— გაიქცეოდა, — ივარაუდა გივი ჩოლოყაშვილმა.

— ვერ გაიქცეოდა, სიარული უჭირდა.

ბიჭები შინიშნებული ადგილისკენ გაიქცნენ, მაგრამ გივის გაფრთხილებაზე, დაჭრილს არსად გადააწყდეთ, თორემ შემოგებმებათო, ნაბიჯი შეანელეს. გივი თოფი მოიმარჯვა, ბიჭებს წინ წარუძღვა და ხევში გადაიხედა.

— აქვე ყოფილა ეს რჯულძალი! — ჩაიბუტბუტა და თოფი ძირს დაუშვა. მერე სიამოვნების ნიშნად ჯიშთან უღვაშზე სკლის ზურგი გადაისვა და უკანმოუხედავად დაიძახა: — აქა ბრძანდება, ბატონიშვილო!

ერეკლემ ხევთან მიიბრინა. დათვი წყალში ცხვირწყაოვილი ეგდო. ნესტოებიდან სისხლი სდიოდა და წითელ ზოლად მიუყვებოდა ნაკადულს.

— საწყალი! — დაიძახა პატარაკეცმა.

ამ ხმაზე დათვი შეინძრა. გაიხმორა. გვერდზე გადაბრუნება დააპირა, მაგრამ ზურგი ხერგს მოაბჯინა და თვალები უღონოდ გადაატრიალა. დათვის უმწუო გამოხედვამ რატომღაც ლეკთაგან მოკლული ბერუას თვალები გაახსენა ერეკლეს და ღრმად ამოიხორა.

— ხომ არ გეცოდება? — შენიშნა გივი. — შენ თუ არ მოკლავდი, ეგ მოგკლავდა. ღმერთმა ბრძანოს და ეგრე გამოგასალმებინოს სიცოცხლეს ყველა მომხდური!

შ ხ ე ლ ზ ა ნ ზ ე კ

თელავის ბოლოზე, ნახნავეებში გასულიყვენ ცხენებით ერეკლე ბატონიშვილი და გივი ჩოლოყაშვილი. მარჯვენა ხელში ორივეს წკეპლა ეჭირა და უხანგებზე შემართულნი ერთმანეთს ეტევებოდნენ. შორიახლოს მათი ფარ-ხმალი ეყარა და ერეკლეს ტოლი ბიჭები განაბულიყვენ.

აი, გივი ჩოლოყაშვილმა გააჭენა ცხენი, ჰაერში ათამაშებული წკეპლა ხმალივით შემოუჭნია ბატონიშვილს და გამარჯვებული მხედრის იერით გავარდა ნახნავეებში, მაგრამ ერეკლემ მოასწრო წკეპლის აცდენა, უნაგირს დაუსხლტა და ცხენის მკერდს ამოეფარა. მერე ფეხის მკვეთრი აქნევით ისევ უნაგირზე აიშართა და, სანამ მისი გამზრდელი ცხენს შემოაბრუნებდა, ხაფი ხმით დაჰკვილა:

— გამაგრდი, გიაურო! — წკეპლამ ჰაერში გაიშხულია და მარჯვენა მკლავზე შეეხო გივის.

— მკლავი მოჰკვეთა! — დაიძახეს მაყურებლებმა.

გახარებული გივი ცხენდაცხენ წაეპოტინა პატარა კახს და შუბლზე აკოცა:

— უბადლო იყო.

— ბატონიშვილო! — მოიჭრა ვილაცის განწირული ხმა.

ერეკლემ ახლალა შენიშნა, რომ დასადავებული ცხენით ვილაც ელოდა.

გოდერძი, შენა? — არ ესიამონა ერეკლეს მისი ხმის გავონება.

გოდერძიმ თუშური ქუდი მოიძ-

რო და ზღარბივით გაბურთავილი თავი გამოუჩნდა.

— მე ვარ, ბატონიშვილო!

— რაო? რა მოხდა?

— ლეკებმა სანიორე და ახმეტა ააოხრეს და შრავალი სული გაიტაცეს. — დამნაშავესავეთ დაიწყო გოდერძიმ. — ცუცა და ჯავახიანთ თინათინიც გაგვტაცეს...

— შერმე? — ერთხმად დაიძახეს გივი და ერეკლე.

— გავედევნენით, მაგრამ ვერას გავხდით. მარტო ორი ყაჩაღი მოვკალით მე და ჯიმშერმა.

— ვაიმე, შევიღებო! — დაიკვნესა გივი ჩოლოყაშვილმა.

„ლეკთა განალაგეს ქართლი და კახეთი“, — გაახსენდა ერეკლეს სასახლეში ალექსი დეკანოზის ნათქვამი სიტყვები.

ფიქრში წასული თეიმურაზი დაღრეჯით იჯდა თავის ოთახში. თითქოს არც გაუხარდა შვილის დანახვა.

— როდემდე ვისხდეთ გულხელდაკრეფილი, მამავ ბატონო? — მისვლისთანავე ჰკითხა ერეკლემ.

თითქოს ნემსი უჩხვლიტესო, ისე სწრაფად გამოფხიზლდა თეიმურაზი. ისიც ახლა სწორედ ამას ფიქრობდა და ერეკლეს შეეკითხვამ ახალციხის ფაშის ნათქვამი გაახსენა ქართველებზე: „საბრალო, შეწუხებული, აოხრებული, უხელფეხო, გათავებული ხალხი...“ რა მწარე ნათქვამია! ვინ დაგიჯერებს, რომ ამ „უხელფეხო და გათავებული“ ხალხის ნება-სურვილს



ერთ დროს შთელი წინა აზია და ნახევარი ევროპა უწევდა ანგარიშს?

— ისე ვარ, შვილო, დანა კბილს არ მიხსნის, მაგრამ თავს ზევით ძალა არ არის და რა გავაკეთო? უხელფეხო ხალხი გვიპოვნეს და გვჩაგრავენ.

— უხელფეხო?... განა ახლა ამას

ფიქრობდი? — თვალეები დააბრიალა ერეკლემ.

აგრემლებული თეიმურაზი სავარძლიდან წამოდგა და შვილს საამბო-რებლად წაეტანა.

მამის გულწვილობამ გუნება წაუხდინა პატარა კახს, მაგრამ გულის სიღრმეში შეებრა და სიტყვის შებრუნება აღარ აკადრა.



— შენ არ იცი, რაზე ვფიქრობდი შვილო, და ჯერ ვერც გამეფებულ

— მითხარი და გაგვებ ყოველივეს!

— შენზე ვფიქრობდი, შენს სიცოცხლეზე...

— ჩემი სიცოცხლე რა სათქმელია, როცა მთლად საქართველოს სიცოცხლეა სასწორზე შეგდებული?!

— მეც ეგ მაწუხებს. დარღვეული საქართველო გედღევა მემკვიდრეობით. — თეიმურაზმა ხელზე ხელი წაავლო ერეკლეს და თვალეებში შეხედა. ერეკლემ თავი ჩაღუნა და ახლავდა შენიშნა, რომ მამას ნადრევად გამუქებოდა ძარღვეები და მისი ხელი მოხუცის ხელს დამსგავსებოდა. საოცარია, ასაკი ჯერ არ უწევს და სიბერე მაინც მოიპარება, მოხონავს, მოძვრება იმ ლეკივით, ურცხვად რომ იტაკებს გოგო-ბიჭებს ქართლ-კახეთიდან.

— ჯერ პატარა ხარ, შვილო... გული თუმცა ვაჟაკური გაქვს, თვალთახედვა არ გეყოფა.

— შენც გინდა მუდამ ბავშვი ვიყო?

— ეგ არ მინდა, მაგრამ არც ის მინდა, ნადრევად ჩავითრიოს ამ უკულმართი ცხოვრების ფერხულმა.

— აბა, მაშ გულხელდაკრეფით ვიჯდე და... — ერეკლეს სხვა რამის თქმაც ეწადა, მაგრამ ყელთან მოწოლილმა ბოლმამ ხმა შეუგუბა და ხელი ჩაიჭნია.

— რა გინდა მითხრა? — თეიმურაზმა საჩვენებელი თითით ნიკაპი თავისკენ მიაბრუნებინა და უჩვეულოდ ანთებულ თვალეებში ჩახედა.

— მიმიშვი მტერზე! — თავაზიანად მოიცილა მამის თითი და კანზე გაიხედა.

— მტერზე მიგიშვა? — თვალეები გაუფართოვდა თეიმურაზს, უკან დარწია და ისეთი ალტაცებით მიაჩერდა შვილს, თითქოს დიდი ხანია, არ უნახავსო. — ამას რას მოვესწარი?... ნუთუ ეს შენ ხარ, ჩემი კოყანდარა ბიჭი?!

— მიმიშვი და მაშინ გაიგებ, როგორი კოყანდარაცა ვარ... ქიზიყი და ახმეტა მთლიანად წაილევა და მე კი ნახნავეებში წკებლითა ვკენწლაობ. მომწყინდა თამაში, ბრძოლა მინდა!

— ყველაფერი კარგად შესმის, მამა გენაცვალოს. სიყრმის მეგობრებსა გტაცებენ და გიხოცავენ, მაგრამ...

„ლექთა განალაგეს ქართლი და კახეთი...“ ისევ გაახსენდა ერეკლეს ალექსი დეკანოზის ნათქვამი და გული შეეკუმშა.

ამან უფრო გაამწარა. თავი აიღო და მამას ჯიქურ შეხედა თვალებში. ასე იდგნენ კარგა ხანს უსიტყვოდ. თითქოს მათ შორის რაღაც დაიძაბა და, სანამ გაწყვეტაზე მივიდოდა, ისევ ძირს დახარა საყვედურიან ბრიალა თვალები.

— მამაჩემო, — დინჯად დაიწყო მერე, — ხომ არ დაგვიდგა ჟამი, როცა... საქართველოში...

— არ მითხრა, ქართველ ხალხს აღსასრული დაუდგაო!

— არ გეტყვი, მაგრამ...

დიახ!.. თეიმურაზსაც ბევრჯერ უფიქრია ამაზე, მაგრამ არავისთან გაუმჯობავებია. რუსეთში გადახვეწის წინ ეს აზრი მის სიმამრ ვახტანგ მეექვსესაც აჰკვიტებია და სულხან-საბასთვის გაუნდვია: „დაე, ბევრი ჩვენგვარი მსხვერპლი შეეწიროს ბედკრულ საქართველოს, მაგრამ ვწუხვარ, ბერიკაცო, რომ თამარის მამულში სამარადყამოდ არ მოისპოს ქართველთა გასაგისიო“. ეს აწუხებდათ მათ შორეულ წინაპრებსაც. ეს აწუხებდა შუახანს მიღწეულ თეიმურაზსაც და ჭაბუკმა ერეკლემაც ეს შხამი ჩააწვეთა. არ უნდა ეთქვა. არ უნდა გაეხედა... მაგრამ რაკი იკითხა, ხომ უნდა უპასუხოს? უყურადღებოდ ხომ არ დატოვებს ასეთ მძიმე შეკითხვას?

მოულოდნელად თეიმურაზმა შუბლი შეიკრა და მკაცრად იკითხა:

— რა შეგიძლია დაუპირისპირო ლექთა თარეშებს?

— მედგარი ბრძოლა.

— სარდლად ვინ გეყოლება?

— საკუთარი თავი.

თეიმურაზს ღიმილმა გაუხსნა შუბლი. თავით ფეხამდე შეათვალიერა და ისევ განაგრძო:

— მრჩევლად ვის ითხოვ?

— გივი ჩოლოყაშვილს.

— ლაშქრად ვინ გამოგყვება?

— მთლად საქართველო.

— მთლად საქართველო?... — მწარედ გაელიმა თეიმურაზს, თავი ურწმუნოდ გაიქნია და ღრმად ამოიოხრა: — ეს ქვევრი, შვილო, ისეა დამსხვრეული, ვეჭვობ, შედუღაბდეს.

— შენგან გამიგონია, მონდომება საქმის ნახევარიო. არც რომელიმე გამარჯვება მოსულა იოლი გზით.

— დამილოცინიარ! — პასუხი მოეწონა თეიმურაზს, შვილს შუბლზე აკოცა და მცირეოდენი დუმილის შემდეგ დაამატა: — გივი ჩოლოყაშვილი მომიხმეთ!



გიორგი კახიძე

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ცნობილი პოეტი გიორგი კახიძე.

ეს დანაკლისი განსაკუთრებით საგრძნობია ქართული საბავშვო ლიტერატურისათვის, რომლის გამდიდრება — გამშვენიერებისათვის ნახევარი საუკუნის მანძილზე დაუღალავად იღვწოდა აწ განსვენებული მწერალი.

თავად კეთილშობილი, უაღრესად პატიოსანი ადამიანი, პოეტი გიორგი კახიძე მოზარდებსაც კაცთმოყვარეობის სულისკვეთებით ზრდიდა თავისი ლექსებითა და პოემებით. მისი ლექსთა კრებულები: „ჩვენთვის გალობს ყველა ჩიტი“, „მაღნაზებისთვის რაც მიმღერია“, „სწავლასა და სიხარულში“, „გაზაფხული მოგვილოცავს“, „ჩვენი სკოლის ყმაწვილები“, „მადლობელი ვართ, მერცხალო“ და სხვ. ნორჩ მკითხველთა გულში ნერგავენ სამშობლოს, დედაენის, სწავლის, შრომის, ბუნების ნამდვილ სიყვარულს, წმინდა თვისებებს.

გიორგი კახიძე წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ჟურნალ „პიონერის“ შემოქმედებით კოლექტივს. როგორც რედაქტორს, ცოდნა და ენერჯია არ დაუშურავს საყმაწვილო ჟურნალის ზრდისა და დავაჟაკებისათვის. ამგდარი პოეტი თავისი სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად თანამშრომლობდა „პიონერში“, იყო მისი გულშემმატიკივარი.

გიორგი კახიძის საბავშვო პოეზია კვლავაც ბევრ მოზარდ თაობას დააპურებს სულიერი საზრდოთი, მუდამ იქნება ჩვენი ყმაწვილების ერთგული მეგობარი, მათი კეთილი მრჩეველი.

ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია,
სარედაქციო კოლეგია.

ქ ი ღ ე ვ ე რ თ ი

ფერმიმკრთალი ნუ გვეხილოს
სოფლის შარა,

რას ინატრებს დედის გული
შვილის ბადალს!

გაიხარეთ,

გაისროლეთ თოფი ჩქარა —

კიდევ ერთი გვარის ბურჯი შეგვემატა.

ყველას გულში უკვე ბინა გაიჩინა,

რა მოაწყენს ცხრა ცქრიალა და-ძმის
პატრონს!

გაიზარდოს ქვეყნის ღონედ,

თვლისჩინად,

შრომით მდიდარს სხვისი ბედი

არ ენატროს.

არასოდეს გაეზომოს მრუდე ადლით
მამა-პაპის ნაფუძარი, ტყე და ჭალა,
ამაღლებდეს დედაენის დიდი მადლი,
საბრძენკაცო, სხივიანი სიტყვის ძალა.

შორს იმედით ახედებდეს ერისკაცებს
ქვეყნისათვის მისი გარჯა, თავდადება,

გაისროლეთ ჩქარა თოფი,

მამულს ამცნეთ

კიდევ ერთი ამირანის დაბადება.

გიორგი კახიძე

პიონერებს უყვარით იზა ხელმძღვანელი

წიგნის ზეიმის ჩასატარებლად რომ ვემზადებოდით, სცენის მოწყობა ცოცხალი ყვავილებით გადაწყვიტეთ. პიონერულმა რაზმებმა რაზმის ხელმძღვანელებთან ერთად ლაშქრობა მოვაწყეთ ტყეში, სადაც სცენის გასაფორმებლად საჭირო სხვადასხვა მცენარე შევაგროვეთ.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი იზა ელისაშვილის რაზმის წევრებმა. აღსანიშნავია, რომ ისინი „ნორჩი ლენინელისა“ და ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის მიერ გამოცხადებულ დაუსწრებელ ექსპედიციაში — „ლენინის ოცნების გზით“ არიან ჩაბმულნი.

იზა ელისაშვილი სკოლის კომკავშირის კომიტეტის წევრია და თან პიონერულ სექტორსაც ხელმძღვანელობს. იქნებ ამიტომაც, რომ იგი სამაგალითოა რაზმის ხელმძღვანელებს შორის.

ონა ჭაღავიძე

გურჯაანის რაიონის კარდანახის საშუალო სკოლა, IX კლასი.

ჩვენი სიყვარული და საქმე

ვსწავლობთ ბედიის 8-წლიანი სკოლის VI კლასში. ჩვენი პიონერული რაზმი ყოველთვის მოწინავეა შრომასა და სწავლაში.

ხშირად ვეხმარებით ჩოღძე საბჭოთა მეურნეობას მკაში, სიმანდის ტეხვასა და დაბინავებაში. ჩვენ ვივალდებულეთ 5 ტონა სილოსის დამზადება. ახლაც, როგორც ყოველთვის, ჩვენი სიტყვა და საქმე ერთი იქნება.

ჩვენი დევიზია — ღირსეულად შევხვდეთ დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს.

სკოლის ეზოში გვაქვს ბაღი, სადაც ყოველწლიურად ვ. ი. ლენინის და-

ბადების დღეს ვრგავთ ყვავილებსა და მცენარეებს.

ვინაზორი ნიშარაძე,

გალის რაიონის, ბედიის 8-წლიანი სკოლა, VI კლასი.

ლიტერატურული წაკ

კარდანახის ბიბლიოთეკასთან (გამგელ ხარატიშვილი) უკვე კარგა ხანია, მოქმედებს ლიტერატურული წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს მ. ბიწაძე.

წრეში გაერთიანებულია მეოთხემერვე კლასის მოსწავლეები. მისი აქტიური წევრები არიან ნონა ქადაგიშვილი, ნინო კორკოტაშვილი, მარინე აღსახანაშვილი, ნათელა ყოინაშვილი და სხვები.

ვწერთ ლექსებს, პატარ-პატარა მოთხრობებს, ვკამათობთ წაკითხულზე, ვითვალისწინებთ ერთმანეთის შენიშვნებს. ვუშვებთ ლიტერატურულ ფურცლებს.

წრეში მუშაობა ძალზე საინტერესო და ბევრის მომცემია.

ბესიკ შაპიაშვილი,

გურჯაანის რაიონის კარდანახის საშუალო სკოლა, V კლასი.



ჩემი სამუშაო!

ფეხს სადაც დავდგამ, ყველგან, ყოველთვის შემომეხვევა თქვენი ნათელი, ჩემო ველებო, ჩემო ტყეებო, ჩემში ანთიხართ, როგორც სანთელი.

გრემო, იყალთოვ და ალავერდო, თქვენი სინმინდგე მესალბუნება. გულში ჩაგიკრა, ჩემო სამშობლო, მომეც უფლება!..

მარინა სირაგილაშვილი.

თელავის მე-4 საშუალო სკოლა, IX კლასი.



ნორჩ პიონერულ ნაშრომთა ჟურნალი № I

ანგელოზი პირველი ხაზი

ყვავილებით გადაფენილ მინდორზე, მიაბიჯებს სულ პაწაწა ბავშვი, თითქოს მხატვარს დაუხატავს ტილოზე ანგელოზი აფრენილი ცაში.

დედას შვილი მიუშვია ნებაზე — ყვავილებში ისწავლოსო რბენა, მერცხლების და ბულბულების სტვენაზე სიხარულით ამოიდგას ენა.

ლია წილაშვილი.

თბილისის ჩან-ე საშუალო სკოლა.

თამარიკო
თავისაძე,
7 წლის.





**სოფალი
ახმაჯი**

**ქალაქად
იქცა
სოფელი**

ქსნის ხეობა ყოველთვის გამოირჩეოდა ბუნების სილამაზით, მიწის ბარაქითა და დოვლათით. ამიტომ იყო, რომ ამ კუთხეს მრავალი მტერი ესხმოდა თავს.

მომხდურებთან ბრძოლაში ბევრ ქართველ ვაჟკაცს უსახელებია თავი. ერთი მამაცი გმირი მაჯაში რომ დაიჭრა, თურმე სინანულით შესძახა: „ახ, მაჯავ, რა დროს მილალატე!“

ქართველებს გაუმარჯვნიათ. იმ ბრძოლის ველზე სულ მალე ხალხი დასახლებულა და გმირის პატივსაცემად სოფლისთვის ახმაჯი უწოდებიათ.

მთქმელი თამარ მაჰარაშვილი (74 წ.),
ჩამწერი თამაშენია მაჰარაშვილი,
ლენინგორის რაიონის ახმაჯის
საშუალო სკოლა, IX კლასი.

დაუკარ, ჩემო ფანდურო,
ამოილე ხმაო,
ჩვენი ახალი ცხოვრების
ქება უნდა ვთქვაო.

გულს გვიხარებს ბრიალა მზე,
მონმენდილი ცაო,
ქალაქად იქცა სოფელი,
გამოიცვალაო.

სკოლაცა გვაქვს, კლუბიცა გვაქვს,
გაფართოვდა გზაო,
ტრაქტორსა და კომბაინსა
აღარა აქვს თვლამო.

ლამითაც მზე დაგვიჩაჩახებს,
შუქი გვეღვრებაო,
აბა როგორ არ ვიმღერო,
გულს ემღერებაო.

მთქმელი შინა სხენიაშვილი,
ჩამწერი მანანა გონაშვილი,
წითელწყაროს რაიონის არბოშიკის
საშუალო სკოლა, VIII კლასი.

განყოფილებას
ხელმძღვანელობს
ფილოლოგიის მეცნიერებთა
კანდიდატი
ნოდარ შამანაძე

**იხარე,
ქაჯო
მერქველ,**

მზედ მოგვევლინა, უქრობ მზედ
დიდი ლენინის გენია,
სვებედნიერი ცხოვრება
კანონით დაუდგენია.
იხარე, კაცო მშრომელო,
რასაც იშრომებ, შენია,
მოგშუშებია ჭრილობა,
თუკი ოდესმე გტყენია.

მთქმელი ვანო მისთაური (42 წ.)
ჩამწერი ჰრისტინე დოლიძე,
თიანეთის რაიონის ხევსურთსოფლის
საშუალო სკოლა, X კლასი.

**ხანისხის
ნიმღარა**

ტანკო, მე შენი ჭირიმე,
შენი მქუხარე ხმისაო,
შემორტყმული გაქვს ჯავშანი
უტეხი ფოლადისაო.

როცა შენს საჭეს ვუზივარ,
გული ხალისით თრთისაო,
დაუძლეველი ფარი ხარ
ჩვენი ბარის და მთისაო,

ხალხთა მშვიდობის ბურჯი ხარ,
ელდა ხარ ჩვენი მტრისაო,
ჭირიმე, შენი შიშითა
ვერვინ დაგვიფრთხობს ძილსაო.

მთქმელი ნიკოლოზ ავციბაური,
ჩამწერი ნანა ავციბაური,
თბილისის 159-ე საშუალო სკოლა,
VIII კლასი.

**ქაჩივი
ქალის
აგვაკი**

ძველად სამეგრელოს თურქები
ავიწროებდნენ. ისინი იტაცებდნენ
ქართველ ბავშვებს და სტამბოლში
ყიდდნენ. ზუგდიდიდან კარგა მანძი-
ლით დაშორებულ სოფელში ზღვის
პირას ცხოვრობდა ქვრივი ქალი, რო-
მელსაც სახელად ანა ერქვა. ანას
თურქმა მეკობრეებმა ერთადერთი
ვაჟი მოსტაცეს და გემით შორეულ
გზას გაუყენეს. ის დღე იყო და ის,
ანას თავისი ვაჟი აღარ უნახავს. უბე-
დური დედა, დღე იყო თუ ღამე,
ზღვის ნაპირს არ შორდებოდა, გამ-
ყივანი ხმით დაკარგულ შვილს გასძა-
ხოდა. ბოლოს, როცა სხვა ვერა ილო-
ნა რა, თვითონაც ზღვაში დაიხრჩო
თავი.

ზღვაზე ქარიშხალი რომ ამოვარ-
დებოდა და ბობოქარი ტალღების
ხმაურში ქარი სტვენას დაიწყებდა,
ზღვისპირელები ამბობდნენ: „ანა
რკიანს — ანა კივისო“.

ამის შემდეგ იმ სოფელს ანაკლია
დაერქვა.

მთქმელი ლეონინა ჯგერანაია (76 წ.),
ჩამწერი ნონა ხარაბაძე,
გეგეჭკორის რაიონის პირველი გურძემის
რვაწლიანი სკოლა, VIII კლასი.

ანდრონი

შინ თუ არავინ გყავდეს, რჩევისა-
თვის კედელს დაეკითხეო.

ურჩი მიუშვი ნებასა, ვერ ელირ-
სება ქებასა.

სიძემ და სიმამრმა დევი ყურით
მოიყვანესო.

დაშინებულმა ძაღლმა სამ წელი-
წადს ჭირკს უყეფაო.

თეთრი ცხვარი ბანვით მოკლეს,
შავი დაუბანლობითაო.

სანამ თონე ცხელია, პური მანამ
ჩააკარიო.

წიგნებს გულით ენდეო, სწავლა
სიბერემდეო.

ქორს ყვავით ვერ შეაშინებო.

მთქმელი ელენე ბერიძე,
ჩამწერი იაგო ბერიძე,
საჩხერის რაიონის ჭორვილის საშუალო
სკოლა, VIII კლასი.

უკუთხედი

რაგონი ჰეპია ქისისხევი?

უძველეს დროში ჩვენი სოფლის მახლობლად ნაკადული მორაკრაკებდა. ისეთ ხმას გამოსცემდა, თითქოს ქისკისებო. ეს ნაკადული დროთა განმავლობაში გაიზარდა და ხევად იქცა. ამის შემდეგ ამ ხევს ქისკისხევი დაერქვა, სოფელს კი — ქისისხევი.

მთქმელი გიგა იოსებაშვილი,
ჩამწერი მანანა მაჰარიშვილი,
თელავის რაიონის ქისისხევის საშუალო
სკოლა, X კლასი.

იძვარა წინამძღვრიანთ პარსე

კარგი ხარ, ჩვენო სოფელო,
წინამძღვრიანთ კარო,
უცხო სტუმარსაც უყვარხარ,
ნე რად არ შეგიყვარო?!

აქ იყო წინამძღვრიშვილი,
ჩვენთვის მზრუნველი ილია,
სკოლა აგვიგო გლეხებსა,
ჩვენ იმ სკოლაში გვივლია.

ილიას სკოლამ გაზარდა
ბევრი ნაქები შვილია,
ბავშვებო, კარგად ისწავლეთ,
თქვენთვის გზა გადაშლილია.

ამ დროებისთვის იბრძოდა
წინამძღვრიშვილი ილია.

მთქმელი ვასილ გულგათაშვილი (72 წ.)
ჩამწერი დალი გულგათაშვილი,
მცხეთის რაიონის გაღავნის საშუალო
სკოლა, X კლასი.

საერთარი

ტყვეს გადუყვიტოლდა ფოთლები
და ჩამოცვივდა ძირსაო,
თოვლმა მთლად ჩამოათეთრა
კალთები მაღალ მთისაო.

კლდეებიც თოვლმა შესუდრა,
ხევში იბანენ პირსაო,

მგელი ცას იკლებს ყმუილით,
დათვი მიეცა ძილსაო.

მთქმელი გიორგი წიკლაური,
ჩამწერი მანანა მნათოზიშვილი,
ქ. დუშეთის მე-2 საშუალო სკოლა,
VIII კლასი.

სოფლის საღაჟო

მზე იწურება ნელ-ნელა,
ბინდი შემოდის წყნარადო,
უკანასკნელი სხივები
მწვერვალს ანათებს მქრქალადო.

მკერდხავსიანი კლდეები
იყურებიან მწყარალადო,
მთის ფერდზე მოჩანს ბილიკი
ვაჟას პოემის პნკარადო.

მთქმელი პატრე წიკლაური (49 წ.)
ჩამწერი ქრისტინე დოლიძე,
თიანეთის რაიონის ხევსურთსოფლის
საშუალო სკოლა, X კლასი.



1. ოთხნი აგებენ ციხესა, მუხუთე
დაიარება.

2. პატარა ბელელში ასი ხანძარი
ძეგს.

3. ლურჯი აბრეშუმი სარკმლისაკენ
მოიწევს.

4. ერთ ბოძზე ერთი ოდა დგას.

5. დღისით ქრება, ღამე ენთება.

6. გინდ გასცერი, გინდ გამტყიცე,
ის დარჩება, რაც არიო.

7. პატარა ვარ, გამიფრთხილდი,
თორემ დიდსა გავაჩენო.

8. გაფრინდება ჩიტვიეთა, მაგრამ
ჩიტი არ არის.

9. გამოცანას მოგახსენებ
ჩვენს გაბერილ თხაზედაო,
პირში სული აღარ უდგას,
ღვინოს კი სვამს ძალზედაო.

მთქმელი ოლა ბასილაშვილი (75 წ.)
ჩამწერი ხათუნა ნიაოლიშვილი,
ლენინგორის 1-ლი საშუალო სკოლა,
IV კლასი.

ერთი ახალგაზრდა დრამატურგი
შეეკითხა ვოლტერს:

— წაიკითხეთ ჩემი პიესა, ბატონო
ვოლტერ? რა აზრისა ხართ მასზე?

— ჩემო კარგო, — უპასუხა ვოლტერმა, — ასეთი პიესის დაწერის უფლებას მაშინ მოიპოვებთ, როდესაც ცნობილი გახდებით. ახლა კი კარგი პიესები უნდა წეროთ.

ნაპოლეონ ბონაპარტი თავის ექიმთან საუბრობდა:

— გულახდილად მითხარით, კორსივარ, რამდენი ადამიანი გამოასალმეთ წუთისოფელს თქვენი მკურნალობით?

— 300 000-ით იმაზე ნაკლები, ვიდრე თქვენ თქვენი ომებით! — უპასუხა კორსივარმა.

ერთმა ქალბატონმა ცნობილ ფრანგ პოეტ მალერბს საკუთარი ლექსები მიუტანა წასაკითხად, მაგრამ მალერბმა არ მოისურვა მათი წაკითხვა.

— ცუდი ლექსები რომ აღმოჩნდეს, დროს დაეკარგავ. ხოლო თუკი კარგი ლექსებია, მაშინ ჩემი იქნებიან, — აუხსნა მალერბმა.

ერთხელ საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-მ საკუთარი ლექსები წაუკითხა მე-17 საუკუნის დიდ ფრანგ პოეტს ნიკოლა ბუალოს.

— თქვენი აზრი? — შეეკითხა მეფე.

— თქვენთვის არაფერია შეუძლებელი, — უპასუხა „პოეზიის ხელოვნების“ ავტორმა, — თქვენ ალბათ გასურდათ სუატი ლექსები დაგეწერათ და მშვენივრად გამოგივიდათ ეს.



უცნაური ის იყო, რომ ავო საუბრის დროს მხროლოდ მე მომმართავდა, თუმცა ჩემთან ერთად ტოივოც იჯდა, საერთოდ, ავო ტყუილად უსვამს ხაზს, რომ ახალგაზრდა აგდებს ტოივოს.

ტოივო უკვე ორი წელია ჩვენს კლასში სწავლობს, და ავო ამბობს, რომ ტოივო სულაც არ მოსწონს, რადგან ის ნამდვილი დედიკოს ბიჭია, ამასთან — გოგოსავით მორცხვი.

მართალია, მე ავოს აზრს მთლიანად არ ვიზიარებ, მაგრამ შეკამათების მიზეზიც არა მქონია, ვინაიდან საერთოდ ავო ადამიანებში ჩემზე უკეთ ერკვევა. გულახდილად რომ ვთქვა, უცნაური ის იყო, რომ ჩვენს გვერდით მაინცდამაინც ტოივო აღმოჩნდა.

ჩვენი ექსკურსიის პირველი დღე ტაევასკოსთან ახლოს დავამთავრეთ. დაახლოებით საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, როცა კარგები გავშალეთ, შემდეგ ვივახშმეთ, ჭამის შემდეგ ბურთის თამაში დავიწყეთ. ბურთის თამაში რომ მოგვწყენდა, გოგოები მასწავლებელთან ერთად სასეირნოდ წავიდნენ, ბიჭებმა კი თავი მძლოლის ირგვლივ მოვიყარეთ.

შესანიშნავი საღამო იდგა. ირგვლივ ტყის ხმაური ისმოდა. მე და ავო ტყის მიმართულებით ვიწრო ბილიკს დავუყევით, სულ დავგავიწყდა, რომ მასწავლებელმა ავვიკრძალა ტყეში სეირნობა, არც ვვითქვამს, სად მივდიოდით.

უბრალოდ, მოგვინდა გასეირნება და წავედით. აქ დავინახეთ ტოივო, რომელიც მოცვის ბუჩქებს შორის ჩაცუტყულიყო, მოცვს აგროვებდა და ქალაქის პარკში ჰყრიდა. ჩვენ დანახვასე ტოივო შეცბა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო.

— კრეფავ, ხომ? — ჰკითხა ავომ.
 — ჰო. — ტოივომ თვალები დახარა და შემდეგ უხერხულად დაიწყო ჩვენი გამასპინძლება.
 — აიღეთ, აიღეთ!

გეგა კალასი
 მხატვარი
 დ. ზარაფიშვილი

საბანბანო უეითხვევა

დ მ თ ხ რ მ ბ ა

მე და ავომ ვნახეთ ეს ფილმი — ორი სერია ორჯერ. შესანიშნავი სურათია! ძალიან მოგვწონს.

ფილმი მაისში გადიოდა, ჩვენ კი მთელი ივნისი და ივლისის დასაწყისი სულ ამ ფილმზე ვლაპარაკობდით.

ერთხელ ჩვენი კლასი ექსკურსიაზე წავიდა. ექსკურსიის შემდეგ ფილმზე აღარ გვილაპარაკია. ამის მიზეზი ალბათ ის იყო, რომ, ჯერ ერთი, საკმაოდ დრო გავიდა, მეორეც ის, რომ ექსკურსიაზე მოხდა საგანგებო შემთხვევის მსგავსი რამ.

ჩვენ ალბათ უკვე ნახევარი საათი, თუ მეტი არა, ვიხსენივით. ჩრდილები თანდათან გრძელდებოდა. ტყე თითქოს უფრო უღრანი ხდებოდა, ჩვენ კი გაუძნრევლად ვიხსენივით.

ავო მუშტზე ნიკაბით იყო დაყრდნობილი. მის თვალელებში ირეკლებოდა მეწამული მზე, ისეთივე, როგორიც ხეების კენწეროებზე ეკიდა.

— ჰო, ენდელ, გახსოვს რადისტი? როგორი გაბედული ქალია! ერთი შეხედვით თითქოს არაფერი განსაკუთრებული არა აქვს, ჩვეულებრივი ადამიანია, მაგრამ შემდეგ, როცა ეს საგანგებო შემთხვევა მოხდება... — ლაპარაკობდა ავო.

— კარგი, — თქვა ავომ და გულგრილად ამოიღო ერთი მუჭა მოცვი.

გზა სამივემ ერთად გავაგრძელეთ. ავო პირველად ძალიან უკმაყოფილო იყო. ტოივო ხმას არ იღებდა და ავომ დიდმნიშვნელოვნად ჩაიცინა.

მე შევამჩნიე, რომ ის მაღალფარდოვან სიტყვებს და ლამაზ ფრაზებს ეძებდა და ვიცოდი, რომ ამას ტოივოს გულისთვის აკეთებდა — უნდოდა ეგრძნობინებინა, ვისთან ჰქონდა საქმე!

ასე მივხებტებოდით უფრო და უფრო შორს. მე და ავო ვლაპარაკობდით, ტოივო კი ჩუმად მოგვეუბოდა, და აი, რატომღაც ჩვენ ერთმანეთს იმ ფილმის შინაარსის მოყოლა დავუწყეთ. თუმცა ორივემ ვიცოდით, რომ ტოივოსაც ჰქონდა ფილმი ნანახი.

შემჩნეული მაქვს, რომ მეც და ავოსაც ზოგჯერ გვიანდა ხოლმე ძალიან ჭკვიანები გამოვჩნდით. არ ვიცო, გამოვვდის თუ არა ეს?!

ასე დავხეტიალობდით ტყეში, და აზრადაც არ მოგვსვლია, რომ შეიძლებოდა გზა აგვბნეოდა ან რაიმე შეგვმთხვეოდა.

ხეტიალით რომ დავივალეთ, იქვე ბილიკთან წაქცეულ



ბებერ, ქერქადაცლილ ხეზე ჩამოვსხედით. უკვე გითხარით, დაახლოებით ნახევარი საათი, თუ მეტი არა, ვისხედით და წითელ მზეს ვუყურებდით. ავო კი ლაპარაკობდა:

— ყოველ შემთხვევაში, ენდელ, სანამ ასეთი საგანგებო შემთხვევა არ მოხდება, არ შეიძლება ვინმეს ენდო, იმიტომ, რომ ადამიანი ჩვეულებრივ ისეთია, როგორიც ის... ჩანს, მაგრამ, როდესაც საგანგებო შემთხვევა მოხდება, ადამიანი საკუთარ თავს ამჟღავნებს, ამ დროს ჩნდება, როგორია ის სინამდვილეში. — დაასრულა ავომ.

ეს შესანიშნავი სიტყვები იყო. არა მგონია, რომ ავოს ეს მხოლოდ ტოივოს გასაოცებლად მოეგონებინოს.

მეც გადაწყვიტე მეტქვა რაიმე ასევე შესანიშნავი, მაგრამ უცბად სულ სხვა რამ მომივიდა აზრად, რის გაფიქრებაზეც შიშისაგან გამაყრუოლა. მაგრამ შიში უცბად ჩავისზე და გულგრილად ვთქვი:

— ყოველ შემთხვევაში, მე ძალიან მეპარება ექვი, რომ კარვებთან დაბრუნება შევძლო, — არც კი მიფიქრია, რომ ჩემი სიტყვები ასეთ შთაბეჭდილებას მოახდენდა; ორივეს თვალები დაუმრგვალდა.

— მგონი მართლაც, — ექვით თქვა ავომ, თან თვალით მოწონა ჩვენს ირგვლივ მაღალი ნაძვები.

— მე... მე მგონია, იმ მხრიდან მოვედით, — ჩუმად თქვა ტოივომ.

— ვითომ?

უჰ. რა ბოროტია ეს ავო! ის მაშინვე წამოდგა, შარვალის ჩამოიბერტვა და საწინააღმდეგო მიმართულებით წავიდა, მაგრამ რადგან დარწმუნებული არ იყო, რომ სწორად მიდიოდა, რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ გაჩერდა.

— შენ გგონია, რომ გზა აგვებნა? — მკითხა მე.

— მგონია, იმიტომ, რომ არ ვიცია, საით უნდა წავიდე. გამოდის, რომ გზა აგვებნევია, არა? რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ბნელდებოდა.

— დაცა! შენ დარწმუნებული ხარ, რომ იქიდან მოვედით? — ჰკითხა ავომ ტოივოს.

— ბილიკი... — უპასუხა ტოივომ.

— ბილიკი!.. ჰო, ჰო, შტერი კი არა ვარ...

— შეიძლება ჩვენ იქითა მხრიდანაც მოვედით.

საკვირველია, არც ერთ ჩვენგანს არ შეეძლო ზუსტად ეთქვა, რომელი მხრიდან მოვედით. რატომღაც გული უცბად ძალიან ამიძგერდა.

— წავიდე, — ვთქვი მე.

მე და ავომ ბილიკს მივაშურეთ, ვაკვირდებოდით მიწას, მაგრამ რამდენიმე დაქულებილი მოცვის გარდა ვერაფერი ვერ ვიპოვეთ. ჩვენდა ჭირად ისინიც წაქცეული ხის ორივე მხარეს ეყარა.

— ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები, რა ჰქნას პეპელამ, — ვცადე გახუმრება, მაგრამ არც ერთს არ გაღიმებია.

ტოივო ცოტა მოშორებით იდგა. შუბლზე ჩამოყრილი მისი ქერა თმა ბინდში სულ მუჭი ჩანდა. თმის ქვეშოდან სერიოზულად იცქირებოდა მისი თვალები.

— მზე ჩადის, — თქვა მან.

მართლაც, მზის უკანასკნელი სხივიც გაქრა და უცბად ძალიან დაბნელდა. ჩვენდაუნებურად შევმჭიდროვდით. უცებ გონება გამინათდა:

— არ გახსოვთ, საით იყო მზე, როცა ბანაკიდან გამოვედით?

— მაშინ მხოლოდ 8 საათი იყო! — თქვა ავომ.

— რვა? — იკითხა ტოივომ, — მზე მაშინ პირდაპირ თვალეში გვირტყამდა, ესე იგი...

რომელ მხარეს წავიდოდით, ჩვენთვის სულ ერთი

იყო, მთავარი იყო გველო. ერთ ადგილზე დგომა არ შეგვეძლო.

ტოივო ფრთხილად მიაბიჯებდა წინ, ღია ფრთხილად რანგი გვეხმარებოდა გზის გაკვლევაში. ავო სუნთქვა-შეკრული ჩქარი ნაბიჯებით მოძებნებოდა.

ესე ბნელოდა, რომ რამდენჯერმე ხეს დავეჩახეთ, მაგრამ არც ერთს წრინტიც არ დაგვიძრავს, რატომღაც არ გვინდოდა ხმის ამოდება.

თითქმის ერთი საათი იყო, რაც მივდიოდით, მაგრამ ტუე არ ილეოდა. მხოლოდ იღუმალი სიჩუმე და ხეთა ლანდები გვერტყა გარს.

— შეჩერდი, ბოლოს და ბოლოს! — ვიყვირე მე.

ტოივო მომზადებულივით გაჩერდა.

— რა მოხდა? — იკითხა ავომ.

უცბად ჩემს თავში დარწმუნებულმა ვიგრძინი, რომ თითქმის დაწყნარებული ვიყავი.

— ამგვარად, ვდგავართ ფაქტის წინაშე, მოხდა საგანგებო შემთხვევა. გზა აგვებნა, როგორ მოგწონთ ეს ამბავი?

— ნუ ყბედობ! — გაბრაზდა ავო.

მე ყურადღება არ მივაქციე მის სიტყვებს და განვაგრძე:

— ვფიქრობ, არ შეიძლება ბანაკში არ შეემჩნიათ ჩვენი გაუჩინარება! — ვთქვი ეს და დავახველე სიამაყის ნიშნად, რომ ასეთი მშვენიერი აზრი მომივიდა თავში.

— დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენმა თანამგზავრებმა შეამჩნიეს ჩვენი არყოფნა, ნერვიულობენ და შეიძლება, უკვე წამოვიდნენ კიდევ ჩვენს საძებნელად.

— რასაკვირველია, ჩირადღნებით, — მწარედ ჩაიციხა ავომ.

— დაცადეთ... — უცბად შემფოთებით თქვა ტოივომ, მაგრამ როდესაც შენიშნა ჩვენი მოუთმენლობა, აღელვებისაგან ენის ბოროტით თქვა:

— ერთ-ერთი ჩვენთაგანი ხეზე უნდა ავიდეს და გაიხედოს, ჩანს თუ არა სადმე კოცონი. ისინი ყოველი მიზეზის გარეშე დაანთებდნენ კოცონს.

ახალი ამბავი! ადრე თუ გვიან მეც მომივიდოდა ეს აზრი, მაგრამ მე მაინც არ მესიამოვნა. რომ ტოივო ჩემზე ადრე მიხვდა ამას და დაჭერებულად წარმოვთქვი:

— შესანიშნავია! თქვენ ძირს დარჩებით მე კი ხეზე ავალ, ხომ არ გეშინიათ?

ავომ სულ დაკარგა იუმორის გრძნობა. მან მოუთმენლად დამიქინა ხელი: — ადი!

ხის ქვედა ტოტები საკმაოდ დაბლა იყო. ერთი ახტომით ჩამოვეციდე ერთ-ერთ ტოტს. დავიჭიმე და გადავიხედე ძირს. აი, ისინიც — ჩემი თანამგზავრები, რომლებსაც ჩემი იმედი აქვთ. — გავიფიქრე მე. — აი ავო, ნახევარი თავით უფრო მაღალი და ცოტა უფრო მხარბეჭიანი, და ტოივო — გამხდარი. დიდყურება; დგანან და ზევით იყურებიან.

როგორც იქნა. ავედი. მე ადრეც მიყვარდა ხეებზე ბლოტიალი. ჭერ კიდევ სულ პატარა, სკოლამდელი ასაკისა ვიყავი. რომ სადამოობით შემოდგომაზე პარკში მდგარ ბებერ ცაცხვებზე ვძვრებოდი ხოლმე. მოგვიანებით კი, როცა წამოვიზარდე და გაზაფხულობით დეიდაჩემთან კოლმეურნეობაში ჩავდიოდი, ხეებზე დავძვრებოდი ხოლმე ყვავის კვერცხებისათვის; ამგვარად, მე შემეძლო თავი გამოცდილ მცოცავად ჩამეთვალა.

მაგრამ ღამით არასოდეს არ ავსულვარ ხეზე. ეს კი, როგორც ჩანს, სულ სხვა რამ ყოფილა. ვიდრე ყვავის კვერცხებისათვის ხეებზე ბლოტიალი.

ცალი ხელით ტოტზე ვიყავი დაკიდებული, მეორე ხე-



ჩვენ ყველანი სამშობლოს ვეკუ-
თენით, მისი შვილები ვართ. სამშო-
ბლოც მშობელ დედასავით ჩვენგან
ერთგულებას. მისი საქმისათვის თა-
ვდადებას მოითხოვს.

— ვის უყვარს ყველაზე მეტად
სამშობლო?

— როგორ გამოვხატოთ ეს სიყვა-
რული?

— როგორ გამოვადგეთ ქვეყანას,
ხალხს?

აი, ეს კითხვები ალღევს თბი-
ლისის 119-ე საშუალო სკოლის პი-
ონერულ აქტივს, რომელსაც შეფო-
ბას უწევს თბილისის ფოლადთუჯ-
სამსხმელო ქარხანა.

ამ ცნობილი საწარმოს მუშები მა-
თი მშობლები არიან.

სკოლის პიონერული აქტივი თვე-
ში ორჯერ იკრიბება, შეკრებაში
მონაწილეობენ სკოლის პედაგოგები
და ქარხნის წარმომადგენლები —
ქარხნის პარტიული კომიტეტის მდი-
ვანი ალექო ხუციშვილი, კომკავში-
რის კომიტეტის მდივანი ვიტალი
გოგუაძე, ფოლადთუჯსამსხმელო ქა-
რხნის მეკოპეთა ბრიგადის ხელმძღ-
ვანელი, სოციალისტური შრომის
გმირი გიორგი კურტანიძე და სხვე-
ბი.

ჩვენი კლუბის მორიგ შეკრებაზე

ლით კი სხვა ტოტს ვეძებდი, რომ ჩავჭიდებოდი. თან
ალაღბედზე ფეხს ვიქნევდი, რომ რაიმეს დავყრდნობო-
დი, და მაგონდებოდა თამაში, რომელსაც ბავშვობაში
ვთამაშობდი ღოღამე: თვალდახუჭული რომ ავდიოდი კი-
ბეზე, საფეხურების დაუთვლელად. უკანასკნელი ნაბიჯი
— ფეხი ჰაერში მყიდა, თან გული მიკრთოდა.

თანდათან სულ უფრო და უფრო ზევით ავდიოდი,
მაგრამ ფიჭვის თითქოს ბოლო არ უჩანდა, ტოტები გახდა
უფრო წვრილი და დრეკადი.

— გაიხედე! — დაიძახა ავომ.

მე ტოტები გადავწიე. ხე ნელა ირწეოდა. ირგვლივ
უკუნი სიბნელე იდგა.

და უცბად დავინახე, რომ ჩვენ სწორი მიმართულე-
ბით მივდიოდით. არც ისე შორს ცეცხლი კიაფობდა და
მდინარეში ირეკლებოდა. კოცონის ელვარება თვალსა-
ჩინოდ აშუქებდა ახლომდებარე ხეების კენწეროებს.

კოცონის ირგვლივ ხალხი მოძრაობდა.

— რა ამბავია? — მომესმა ქვემოდან.

— იქით, იქით ცეცხლია! — დავიყვირე მე.

მერე კი ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ზუს-
ტად არ შემიძლია გადმოვცეთ. ასეთი რამ მე არასოდეს
არ განმიცდია.

აღბათ იმიტომ, რომ ძალიან გადავიწიე წინ, ან, შეი-
ძლება, ტოტი აღრევე გადატეხილი იყო... ასეა თუ ისე,
ჭახანი გაისმა და მე ვიგრძენი, რომ მოტეხილ ეკლიან
ტოტზე ჩამოვეკიდე, სადღაც მალდა....

მესმოდა, როგორ ლაპარაკობდნენ ისინი ქვემოთ...
მესმოდა, როგორ ამოდიოდა ვიღაც ზევით ხმაურით...

კბილი კბილს დავაჭირე და შევეცადე ხის ტანს მღვ-
წვდომოდი, მაგრამ ამოდ — მარჯვენა ხელი დაბუფე-
ბული მქონდა.

შემდეგ დავინახე გაფითრებული სახე, რომელიც ავ-
ოხსი მეგონა, მაგრამ ტოივოსი აღმოჩნდა.

— ხელი მომაწოდე, — აღელვებით მიჩურჩულა ტო-
ივომ და ჩემი მარცხენა ხელისკენ გამოიწია. ვუყუ-
რებდი და ვფიქრობდი: ხომ შეიძლება, რომ ჩავარდეს!
მარჯვენა ხელი დამეკრუნხა.

ტოივო ხელში ჩამეჭიდა და ხის ტანისკენ წაიღო ჩე-
მი ხელი. მე ფეხის ცეცებით მოვძებნე დრეკადი ტო-
ტი. სანტიმეტრ-სანტიმეტრობით მივიწვიე ხის ტანი-
სკენ. ბოლოს, როგორც იქნა, შევძელი ტოტზე ჩამოჯ-

დომა და თანდათანობით დავიწყე გონზე მოსვლა. რაც
მთავარია კრუნჩხვამ გამიარა.

— გამდლობ! — ვთქვი მე და ძლივს გადავულაპე ყე-
ლში მომდგარი ნერწყვი.

— შეგიძლია ჩამოხვიდე? — მკითხა ტოივომ.

— შემიძლია, — ვუპასუხე და უცბად ვიფიქრე, რა-
ტომ ავო არ მომეშველა, ის ხომ ტოივოზე ღონიერია,
ჩემი მეგობარი ავო?

— ავო სად არის? — ვიკითხე ჩემად.

— უნდოდა მოგშველებოდა, მაგრამ ფეხსაცმელი
დაკარგა, — თქვა ტოივომ და ძირს ჩამოცოცება დავი-
წყეთ.

ხელი მტკიოდა, ხელისგულიდან სისხლი მდიოდა,
მაგრამ მაინც მოვახერხე მშვიდობით ჩამოსვლა.

— ცოცხალი ხარ? — მკითხა ავომ აღელვებით, მას
უკვე ჩაეცვა ფეხზე. რატომღაც მეუხერხულეობდა მის-
თვის სახეში შეხედვა, მაგრამ თითქოს არაფერი არ
მომხდარიყოს, ისე ვუთხარი:

— წავიდეთ! იქით კოცონი ანთია!

საოცარია, რომ მთელი გზა ხმა არ ამოგვიღია და
როცა ტყიდან გამოვედი და კოცონის ირგვლივ ხალ-
ხი დავინახეთ, მხოლოდ მაშინ თქვა ტოივომ:

— ახლა კი მოგვხვდება!

შევხედე მას, ქერათმიანსა და ყურებპანტურას და
დავრწმუნდი, რომ სრულებითაც არ ჰგავდა დედიკოს
ბიჭს.

თარგმნა მანანა სიღამონიძე





მუხამსხელი ქინძა

ნა. ბონდო გოგოლაძე მას ქინძისაში გაიზარდა. მისი ბრიგადის უცვლელი წევრი კომუნისტური შრომის დამკვერელია.

სიტყვას ვაძლევთ ამ სკოლის პიონერულ აქტივს.

შვიდი ბრიგადა შვიდი რაზმის სელმძღვანელობა

რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ხათუნა ზოსიაშვილი:

ჩვენი შეკრება-მეცადინეობანი ყოველთვის პიონერული ხაზით იწყება. პიონერული რიტუალების ცოდნას დიდ ყურადღებას ვაქცევთ. ვეცნობით პიონერული ორგანიზაციის ისტორიას, ვაანალიზებთ პიონერული რაზმების საკავშირო მარშის მიხედვით მთელი თვის მანძილზე ჩატარებულ მუშაობას, ვსწავლობთ სამუშაო გეგმების შედგენას, ალბომების გაფორმებას, კედლის გაზეთის გამოშვებას, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებს. ვკამათობთ პიონერული დაეალების მესრულების მნიშვნელობაზე. ვაკონკრეტებთ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი შეკრებების, შეხვედრების, ზეიმების ჩატარების თარიღებს და ა.შ.

რაზმეულის მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ფოლად-თუჯმსხმელებთან ურთიერთობას.

სკოლაში ყველამ ვიცით, რომ ჩვენი მეზობელი და შეფი ქარხნის მუშათა კლასის ცვლა ჩვენს სკოლაში იზრდება. ასე აგვიხსნა სკოლის დირექტორმა, პატივცემულმა ნინო კვანტალიანმა. ამიტომ ჩვენი აქტივის უპირატეს ამოცანად მიგვაჩნია ქარხნის საამქროებთან მჭიდრო კონტაქტის დამყარება.

შვიდი საამქროს შვიდი ბრიგადა ჩვენი შვიდი პიონერული რაზმის შეფია. საინტერესოა შეფი ბრიგადების ბიოგრაფიები. ამის შესახებ ვისაუბრეთ პიონერული აქტივის სკოლის მეცადინეობაზე, შევადგინეთ ალბომები. მაგალითად, ყველამ ვიცით, რომ მთელ რესპუბლიკაში და მის საზღვრებს გარეთ ცნობილმა გიორგი კურტანიძის ბრიგადამ 1962 წლიდან დაიწყო კოპების დამზადება. კოპები სხვადასხვა მანქანა-იარაღების წარმოებისათვის არის აუცილებელი, ამა თუ იმ იარაღმა კოპის დახმარებით უნდა მიიღოს სათანადო ფორმა. ძია გიორგის ბრიგადა მრავალი წამოწყების ინიციატორია, მისი წევრები ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების

30 წლისთავის აღსანიშნავად გამოვიდნენ პატრიოტული თაოსნობით: „თავისა და იმ ქაბუჯის წილ“, რაც იმაში გამოიხატა, რომ თავიანთ ბრიგადაში მეექვსე წევრად ჩარიცხეს საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავი გასტელო და მის სახელზე გამომუშავებულ თანხას ყოველთვიურად რიცხავდნენ მშვიდობის ფონდში. ამ თაოსნობამ შემდეგ რესპუბლიკაში საყოველთაო ხასიათი მიიღო და გულთბილი გამომხატურება ჰპოვა ბრი-



ბ. კურტანიძე კოპების დანიშნულებაზე ესაუბრება საუფრო სკოლის მოსწავლეებს

გადისადმი თვით ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოგზავნილ წერილში.

ასევე ახლოს იცნობს პიონერული აქტივი მე-6 მექანიკური საამქროს ზეინკლის ალექსი სუპუნის ბრიგადას, მე-3 მძიმე სხმულების საამქროს მეკოპეთა ბრიგადას, რომელსაც კომუნისტური შრომის დამკვერელი ავთანდილ ჭყოიძე ხელმძღვანელობს. ძია ავთანდილის ბრიგადა გიორგი კურტანიძისას ეჯიბრება. ლენინის ორდენის კავალრის ლუკა წიკლაურის მძიმე სხმულის საამქროს დამფორმებელ-ამკრებთა ბრიგადა კი ქარხნის ერთ-ერთ ყველაზე რთულ უბანს ემსახურება და ამზადებს გამდნარი ლითონის ჩასახმელ ფორმებს.

ყველაზე ახალგაზრდულია კომუნისტური შრომის დამკვერელი ბონდო გოგოლაძის სხმულის საამქროს მეკოპეთა ბრიგადა. იგი 1973 წელს შეიქმ-

კიდევ რაში გამოიხატება ჩვენი მეგობრობა ქარხანასთან? ერთად დავდივართ ექსკურსიაზე, ვიკრიბებით სკოლაში თუ ქარხანაში გამართულ ზეიმზე; სიხარულიცა და ტკივილიც ერთი გვაქვს. ქარხნის შვიდი ბრიგადა შვიდი პიონერულ რაზმს ხელმძღვანელობს: ჩემი აზრით, ამიტომაც არ უჭირს რაზმეულის საბჭოს მუშაობა.

ქარხნის კარგიველი კომიტეტი დაუბრუნდა

VII კლასის რაზმის საბჭოს თავმჯდომარე მანანა მოლაშვილი:

— ძია გიორგისთან საამქროში ხშირად დავდივარ. მის საამქროსა და ჩვენს კლას-კაბინეტში ორი ერთნაირი შინაარსის სტენდია გავეთებულა. სტენდებზე შეფების მიერ გაწეული შრომა ასახულია. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ქარხნის პარტიული კომიტეტის ერთ-ერთი სხდომა, სადაც, როგორც გიორგი კურტანიძის საშეფო რაზმის საბჭოს თავმჯდომარე, მეც ვიყავი მიწვეული. ცოტა არ იყოს, ველაყვდი, მაგრამ როცა სხდომა დაიწყო და სიტყვა მომცეს, არ გამჭირვებია. ეს იმიტომ, რომ სიმართლეს ვლაპარაკობდი. გიორგი კურტანიძე ჩვენი



უფროსი მეგობარიც არის და დამრიგებელიც. ალბათ ამიტომაც არ მიჭირს მუშაობა. კომუნისტებს გაუხარდათ, რომ რაზმმა ორიანების გარეშე დაამთავრა მეოთხედი. მე მათ ვუამბე, რომ გიორგი კურტანიძის ბრიგადის წევრებთან ერთად ვიყავით ბეთანიაში, ზაჭესში, კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში (ავტობუსიც თვითონ ძია გიორგიმ მოგვიყვანა), მისი დახმარებით ვამზადებთ ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებებს, ერთად ვინახულებთ „მუზეუმი ლია ცის ქვეშ“, დავათვალიერეთ ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი, მისი დახმარებით აქტიურად ვმონაწილეობთ ექსპედიციაში — „ლენინის ოცნების ვზით“.

ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანს ალექო ხუციშვილს ადრეც ვიცნობდი: იგი ერთ ჩვენს მოსწავლეს, ლელა შალიკაშვილს შეფობს. ლელა ადრე სკოლას იყო ჩამოცი-

ლებული, ახლა კარგად სწავლობს და დავალებებსაც მუყაითად ასრულებს. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ძია ალექოს ძალიან უყვარს ჩვენი სკოლა, ჩვენთან ხომ ძირითადად ფოლად-თუქსამსხმელო ქარხნის მუშების შვილები სწავლობენ. ძია გიორგის შვილებიც ჩვენთან სწავლობენ.

პარტიული კომიტეტის სხდომაზე ქარხნის ხელმძღვანელებს ისიც ვუამბე, თუ როგორ ვასრულებთ აღებულ ვალდებულებას.

ჩვენ დიდი ზეიმით აღვნიშნეთ ძია გიორგის დაბადების 50 წელი. ლია ძნელაძის ხელმძღვანელობით მაშინ-რაზმის გოგონებმა ლამაზი ტორტიც გამოაცხვეს. თვითონ იუბილარმა სამეფო პიონერულ რაზმს წიგნები და რვეულები დაურიგა. დიდი ამაგი აქვს მას ჩვენს სკოლაზე. კაბინეტ-ლაბორატორიები სულ მისი დახმარებით მოეწყო.

მთელ რაზმს უყვარს ძია გიორგი. ის ჩვენთვის ყოველთვის მოხახავს ხოლმე დროს. ჩვენთან ერთად და-



დის რეიდებზე „ცენტროლიტის“ დასახლების ქუჩებში.

ბრიგადის ახალი ვალდებულებაც გავაცანეს პარტიული კომიტეტის იმ სხდომაზე, რომელსაც ვესწრებოდი. ამ ვალდებულების მიხედვით ძია გიორგი და მისი ბრიგადის წევრები ჩვენ დავგეხმარებიან ქარხნისა და მისი დასახლების ისტორიის შესწავლაში; ისინი შეგვასწავლიან აგრეთვე ლითონის ხარხების ჩამომსხმელის სპატიო პროფესიას.

ძია გიორგიმ დავვათვალიერებინა ქარხნის ყველა საამქრო და გავვიმართა აქ მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები. ბრიგადის წევრებთან ერთად დავათვალიერებთ ჩვენი რესპუბლიკის ისტორიულ ძეგლებსა და ადგილებს, ამ ვალდებულებას ძია გიორგისთან ერთად სხვებიც აწერენ ხელს. რაზმისა და ბრიგადის ვალდებულება, რომელიც ჩვენზე შეფობის გარდა ერთობლივ მუშაობას ითვალისწინებს, პიონერული რაზმის კუთხეში ინახება.

კომუნისტების მეთაურა
აზნავრამა — შრომა ბრძენი
მასწავლებელია

რაზმეულის საბჭოს წევრი
კობა ბიორბაძე:

ფოლადთუქსამსხმელო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანს ალექსანდრე ხუციშვილს ჩვენს სკოლაში კი არა, „ცენტროლიტის“ მთელ დასახლებაში კარგად იცნობენ.

ქარხნის კომიტეტის მეთაური პიონერული აქტივის მეცადინეობებზე გვესწრება ხოლმე. მისი თანდასწრებით პიონერულ ხაზს უფრო მონდომებით ვატარებთ.

ძია ალექოსთან ქარხანაში ყოველთვის შეგვიძლია მისვლა. იგი ახალგაზრდაა, ვგრძნობთ, რომ ძალიან უყვარს პიონერები. გვითხრა, — პიონერული წლები ჩემთვის საინტერესო შრომის წლები იყო, შრომა კი ყველაზე ბრძენ მასწავლებლად მიმაჩნიაო. იგი ადრე კომკავშირული მუშაკი იყო და ჩვენი სკოლის კომკავშირელებთანაც ისეთი გულითადი მეგობრობა აკავშირებს, როგორიც პიონერებთან.

ჩვენი სკოლის დირექტორი ამბობს, რომ ძია ალექოს დახმარებით

ალექსანდრე ხუციშვილი
რჩევა-დარიგებას ამღვს
მეჩვენალაქალ ხათუნა ზონიავილს.



ქარხანამ ბევრი რამ გაუკეთა სკოლას. ამას ჩვენი ვგრძობთ და მადლობის მეტი რა გვეთქმის; ვიცით, როგორც კი ქარხნის ეზოში საეციალურ სტენდზე ხუთიანებით სავსე ჩვენი დღიურების სურათები გაიკვრება, ჩვენი მშობლები სიხარულით ცას ეწევიან, ძია ალექსეი თურმე მათ საითაოდ ულოცავს ჩვენს წარმატებას.

მშობლებიც გვარიგებენ, სკოლაში თავი არ შეირცხვიანოთ, ქარხანაში არ გაგვაწბილონო.

ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოზარდებს; ადრე, როცა ჩვენი სკოლის მოსწავლეები თუ „ცენტროლიტის“ დასახლებაში მცხოვრები მოზარდები ხშირად არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგსა და შრომის დისციპლინას, ეს სკოლას, მასწავლებლებს, კომკავშირელებს, პიონერულ აქტივს — ყველას აღელვებდა. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი რაზმეულის პიონერების, სკოლის კომკავშირელების არცერთი არასწორად გადადგმული ნაბიჯი არ გამოეპარება ქარხანაში მოქმედ მოზარდებთან მუშაობის საკოორდინაციო შტაბს.

ჩვენი სკოლიდან ბევრი აპირებს ქარხანაში მუშაობის დაწყებას. იქ ამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ჩვენი სკოლის 80-მდე კურსდამთავრებულმა დაიწყო მუშაობა; უკვე ფოლადთუქმსხმელები არიან ხუფზარ ენუქიძე და მარინა ზანგურაშვილი, თამაზ მოხევიშვილი და შოთა წიკლაური, ალექსი ახმედოვი და ლეილა ეივიძე.

ზაფხულობით შრომის მეხუთე მეოთხედს ჩვენი სკოლის 150 მოსწავლე ამ ქარხანაში ატარებს.

რაზმეულის საბჭოს დავალებით მე და ვია წიკლაური პიონერული აქტივის მთელ ცხოვრებას, სკოლაში თუ ქარხანაში მათ საქმიანობას საკუთარი ფოტოაპარატებით ვიღებთ. ამ ფოტოსურათებით საინტერესო ალბომები დავამზადეთ.

რაზმეულის მეგობარმა, სოციალისტური შრომის გმირმა გიორგი კურტანიძემ ერთხელ გვითხრა: — „შრომისა და ბრძოლის მედალი ერთი ლითონისაგან მზადდება, ხოლო სახელოვანდ ის შრომობის და იბრძვის, ვისაც ცოდნა აქვსო“. მისი სიტყვები არა მარტო მოვისმინეთ და დავიმანსოვრეთ, უფროს პიონერებლმძღვანელს გულნაზი აბესაძეს ვთხოვეთ და პიონერთა ოთახში ლოზუნგად გავაკარით; ძია გიორგის ეს რჩევა ჩვენი რაზმეულის მომდევნო თაობებმაც უნდა გაითვალისწინონ.



თევაზი, რომელიც კაპიტო სუნთქავს

მრავალი სახეობის თევზი უანგზადს მართო წყლიდან კი არა, ჰაერიდანაც იღებს პრაზიტული ფილტვების საშუალებით. ამას წინათ იქთოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ თევზის ორი სახეობა კუჭით სუნთქავს. ორივე სახეობა საზღვრით ამერიკის თბილ და მდვირე წყლებში ბინადრობს. ამ წყლებში ხშირად კლებულობს უანგზადის რაოდენობა. ასეთ დროს თევზი ზედაპირზე ამოცურდება და როგორც საქმელს, ისე ულაპავს ჰაერს. ჩაქლაული ჰაერი საქმლის მომწელებელ არხში ხვდება, საიდანაც ორგანიზმი უანგზადს ითვისებს.

საფოსტო მტრედი ჯაბანის ავტომობილს

ჩვენს საუკუნეში — ტექნიკის საუკუნეში შესაძლოა დაუჭერებლადაც კი მოგვეჩვენოს ის ამბავი, რომ მტრედი ჯაბანის ავტომობილს. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ინგლისის ერთ-ერთ ჰოსპიტალში, ჰოსპიტლიდან ხუთი კილომეტრით დაშორებულ ლაბორატორიაში სანალიზოდ სისხლის მისატანად საფოსტო მტრედებს იყენებენ. რატომ? იმიტომ, რომ მტრედი ამ მანძილს გაცილებით უფრო ადრე და თანაც ბევრად უფრო იაფად ფარავს, ვიდრე ავტომანქანა.

როგორც კი მტრედი ლაბორატორიაში შეფრინდება და მისთვის განკუთვნილ გალიაში შევა, მაშინვე ჩაირთვება ავტომატური სიგნალიზაცია.

იმავე წუთს გამოჩნდება მედლა და მტრელს გამოტანებულ „ფოსტას“ ჩამოართმევს. რასაკვირველია, ლაბორატორიას წინასწარ ატუობინებენ ტელეფონით, თქვენთან მტრედი მოფრინავსო. არ უოფილა შემთხვევა, ფრთოსანი ფოსტით გაგზავნილი ამანათი დანიშნულებებისამებრ არ უოფილიყო ჩაბარებული.

როგორ ზომავდნენ მანძილს

მანძილი სხვადასხვა კვეყანაში სხვადასხვანაირად იზომებოდა. მაგალითად, გერმანიაში გზის სიგრძეს კვეითად მიმავალის მიერ მოწეული ჩიბუხის რაოდენობით ზომავდნენ, — ერთი სოფელი მეორისაგან შეიძლებოდა ერთი, ორი ან სამი ჩიბუხით

ყოფილიყო დაშორებული. მოკლე, მანქანული ლის საზომი იყო ძალის ყეფის რაოდენობა, კუბაში კი — მამლის ყვილის ხმა.

უძველესი ჰერბარიუმი


მსოფლიოში უძველეს ჰერბარიუმად ითვლება ეგვიპტის ერთ-ერთი ტაძრის კედელზე გამოსახული 275 სხვადასხვა სახის მცენარე. ეს გამოსახულება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1450 წლით თარიღდება.

უხუცესი ხე ბალკანეთში

ბულგარეთში არის ქადარი, რომელიც ქველაზე ხნიერია მთელ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დღეის დღეობით ცოცხალ ხეთა შორის. იგი ათას წელზე მეტი ხნისაა. ამ თხუთმეტი მეტრი სიმაღლის ხეს ხუთი კაცი ძლივს შემოუწვდენს მკლავებს. საერთოდ, ქადარი ორი ათას წელზე მეტ ხანს ცოცხლობს და ორმოცდაათი მეტრი სიმაღლისა იზრდება.

ოთხმოცი წლის სტუდენტი

იუგოსლავიელ პეტერ ჩამონის ამას წინათ ოთხმოცი წელი შეუსრულდა და ეგონა, ცხოვრების სკოლა კარგა ხანია გავიარეო. მაგრამ აი, მისი შვილიშვილი მეორედ ჩაიჭრა სარაევოს უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე. პაპაის ბრაზი მოერია და, იმის დასამტკიცებლად, გამოცდების ჩაბარება არც ისე ძნელიაო, თვითონ გამოცხადდა მისაღებ გამოცდებზე. სულ მალე მან უნივერსიტეტიდან ბარათი მიიღო — ჩარცხული ხარო. ამრიგად, პეტერ ჩამონია უხუცესი სტუდენტი იუგოსლავიაში და ალბათ მსოფლიოშიც.



ორიოდე სიტყვა მოლუსკავაზა

დღემიწის ზურგზე 125 ათასი სახეობის მოლუსკია, ისინი დაცურავენ, დახტან, ცოცავენ, მიწაში დაძვრებიან, ცხოვრობენ ზღვებსა და მტკნარ წყლებში, მთებსა და დაბლობებში, კვებს შორის, ხეებზე. ქველაზე მოზრდილები სიგრძით ერთ მეტრს აჭარბებენ, პაწაწინები კი კვიშის მარცვლის ოდენები არიან.

ლია
საცურაო
აუზი



ჟურნალ „პიონერის“ სექტემბრის ნომერში მოთავსებულ ფოტოსურათზე აღბეჭდილია თბილისის ღია საცურაო აუზი. იგი აგებულია მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, აბრეშუმსაქსოვი კომბინატის გვერდით.

ამ ადგილის შორიანლო ადრე არსებობდა ქალაქში ერთადერთი საზაფხულო აუზი, რომელიც ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობისა და სპორტული საზოგადოებრიობის გაზრდილ მოთხოვნებს.

ახალი კომპლექსის დაპროექტებისას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ორიენტაციას, რომელმაც განაპირობა თვით აუზისა და ტრიბუნების განლაგება. ტრიბუნების მრუდხაზოვანი ფორმა და მის ცენტრალურ ნაწილში ადგილების თანდათანობითი გაზრდა მიზანშეწონილია არა მარტო მაყურებელთა მოხერხებული განლაგების, არამედ ესთეტიკური თვალსაზრისითაც: მრუ-

დხაზოვანი ფორმები ჰარმონიულად ერწყმის კლდოვან რელიეფს.

პროექტის ავტორებმა რელიეფის ქანობი მოხერხებულად გამოიყენეს სპორტულ-ნდმინისტრაციული და სათვალთვალო ნაწილების ფუნქციური დაყოფისათვის. უზრუნველყოფილია ხელსაყრელი კავშირ-ერთობა საშხაპესა და გასახდელებს, აგრეთვე სატანვარჯიშო დარბაზებს, მეთოდოკურსა და მსაჯთა ოთახებს შორის. მთელი ეს ტერიტორია იზოლირებულია მაყურებლისაგან.

ცენტრალური შესასვლელის მხარეს მოთავსებულია პრეს-კორპუსი დიქტორთა კაბინებით და სატელევიზიო მოედნებითურთ; აქვეა ტრიბუნები სპორტსმენებისა და პრესის მუშაკთათვის.

მაყურებელთა ინტენსიური მოძრაობის მაქსიმალური მოწესრიგების მიზნით პროექტის ავტორებმა კიბეებს პანდუსების სისტემა ამჯობინეს. ამ პანდუსებით მაყურებელს შეუძ-

ლია მოხვდეს ტრიბუნებზეც და საზაფხულო ფოიეს დონეზეც, სადაც ბუფეტებია მოწყობილი.

ცენტრალურ საწყობისათვის ტულ კომპლექსში შედის: 4 საცურაო-სახტომი აბაზანა (რომელთაგან ორი სასწავლოა და დღეში 500 ბავშვს მოემსახურება), 3 სპორტული დარბაზი სარეაბილიტაციო სამედიცინო ცენტრითურთ, საერთო საცხოვრებელი 80 სპორტსმენისათვის, 80-ადგილიანი კაფე, 170-ადგილიანი სააქტო დარბაზი სტაციონარული კინო-დანადგართურთ, დამოუკიდებელი პრეს-კორპუსი, ხუთი ათას ხუთას ადგილიანი ტრიბუნები, ლიფტით აღჭურვილი სახტომი კოშკი.

ღია საცურაო აუზს შეუძლია დღე-ღამეში სამი ათასამდე სპორტსმენს მოემსახუროს.

ეს სპორტული კომპლექსი თავისი მაჩვენებლებით თანამედროვე სტანდარტების თანახმად აგებული რთული ობიექტია, რომელიც აღჭურვილია სატელევიზიო და რადიოკავშირის უახლესი საშუალებებით, ავტომატიკით, წყლის გამასუფთავებელი მოწყობილობით, ვენტილაციით, ჰაერის კონდიციონერებით, ჟანგბადით წყლის გამამდიდრებელი დანადგარით, ფერადი ტელევიზიისათვის საჭირო განათებით, უნივერსალური ელექტროტაბლოთი და ა. შ.

თბილისის ღია საცურაო აუზში შეიძლება ჩატარდეს და ტარდება



შეპირიონი

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი შოთა ინჟინერაძე

გვი გამრეკელი საქართველოს 1950 წლის ჩემპიონია ჭაბუკთა შორის, ამ წელს ის თბილისის ჩემპიონიც გახდა. 1952 წელს კი — სპორტსაზოგადოება „მეცნიერების“ ჩემპიონი. მომდევნო წლებში იგი სისტემატურად მონაწილეობდა საქართველოს ჩემპიონატებში, არაერთგზის იყო თბილისის ჩემპიონატების პრიზიორი; 1960 წელს თავაშობდა ბალტიისპირეთისა და საქართველოს მოჭადრაკეთა დიდ ტურნირში.

გვი გამრეკელი ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დოცენთა, ჟურნალისტურ შრომასაც ეწევა,

შეგვირებებში იშვიათად მონაწილეობს, მაგრამ ხანდახან მაინც უბრუნდება ხოლმე სიჭაბუკის ვატაცებას. 1978 წელს მან I-II ადგილები გაიყო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკურ ჩემპიონატში.

დღეს გავეცნოთ გ. გამრეკელის ერთ პარტიას, რომელიც ნათამაშევია 1972 წელს ერევანში თბილისისა და ერევნის უნივერსიტეტების ნაკრებ გუნდებს შორის.

უპირატესობა
განვითარებაში და
ღია ხაზები

პარტია № 4
ძველინდური და ცვა
ერევანი, 1972 წ.

გამრეკელი

(ოსტატობის კანდიდატი)

გომიხინიანი

(ოსტატობის კანდიდატი)

1. d4 მf6 2. c4 c5 3. d5 e6 4. მც3 ed 5. cd d6.

თეთრებს ზედმეტი პაიკი აქვთ ცენტრში, ხოლო შავებს — ლაზიერის ფრთაზე, რაც ორივე მხარის საბრძოლო ოპერაციების ქვაკუთხედი — თეთრები შეეცდებიან ცენტრში ზედმეტი პაიკის რეალიზებას და შავების ლაზიერის ფლანგის ბლოკადას (პაიკი მ4 და მც4; მხედარი c4 ამასთან ერთად განახორციელებს დაწოლას „d6“-ზე და დაეხმარება ცენტრალურ „e“-პაიკს სადემარკაციო ხაზის — მე-9

იონოზ

თუ
აკა
შენს
კომოზიკა
მსაჯეს?

ბავშვებო, მოგხედავთ,
რა არის ამ ფორმზე
გამოსახული და რა
იწით მის შესახებ.



სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო

კიდევ მსხვილი საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებები ცურვაში, წყალში ხტომაში, წყალბურთსა და თანამედროვე ხუთჭიდში. ამავე დროს (და ეს ერთ-ერთი მთავარ ღირსებათაგანია), კომპლექსი იქნება კარგი ბაზა ნაკრებ გუნდთა სასწავლო-საწვრთნელი მუშაობისა და ცურვის მასობრივი შესწავლისათვისაც. საყურადღებოა, რომ ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კომპლექსი წარდგენილია სსრკ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად.

ზოთა ხავლაშვილი,
პროექტის ავტორი, რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი.


პორიზონტალის — გადაღბვაში, შავები კი, პირიქით, — შეეცდებიან „ენ“-ზე კონტროლით (პაიკი ძ6, კვ7, ე8, მძ7) დაამუხრუჭონ თეთრების ცენტრალური პაიკი, რითაც დაბრკოლდება თეთრების გააქტიურება ცენტრში (და მეფის ფრთაზე). „ენ“ უჭრაზე კონტროლის ლოგიკური შედეგი იქნება თეთრების რიცხობრივად მეტი პაიკების გარემოცვა — ბლოკადა დაფის მარჯვენა მონაკვეთზე (e, f, g, h ვერტიკალები). შავებისათვის მოკლენათა წარმატებით განვითარების შემთხვევაში, ლაზიერის ფრთაზე შავი პაიკების რიცხობრივი უპირატესობის რეალიზებაში (წინსვლაში) მნი-

შენელოვან როლს შეასრულებს გ7 კუ.
6. მფ6 გ7. e4 კვ7 8. კე2 0—0 9. 0—0 ა6 10. ა4 კვ4 11. მძ2 კ:ე2 12. ლ:ე2 ე8 13. მც4 მ:ე4.
მაცდური, მაგრამ საექვო ოპერაციაა, რასაც მახვილგონივრულად ავლენს გამრეკელი.
14. მ:ე4 15. მ8 16. კქ4!
ამ შუალედური სვლით თეთრები განვითარებაში უპირატესობას და „ენ“ უჭრაზე კონტროლს აღწევენ. ეს უკანასკნელი კი თამაშის გახსნის საწინდარიც არის. ცნობილია — ხაზების გახსნა ხელსაყრელია უკეთ განვითარებული მხარისათვის.

16. ... კქ8 17. ლე ხ6 18. ლქ8 გა7-19. ე5! დე 20. კ:ენ კვ7 21. ძ6! ე:ენ.
ხარისხის შეწირვით შავები იგებენ გამსვლელ პაიკს. თუ 21. ... კ:ენ, მაშინ 22. ლძა+ 22. მ:ენ ლ:ძ6 23. ეა—ძ1 ლე7 24. ლძა+ მფქ8 25. მქ7+ მფგ8 26. მჩ6++
შავები დანებდნენ შამათის მუქარის გამო.
პარტია კლასიკური სისადავის ნიმუშია — გენიალური პოლ მორფის სტილში.
ახლა ამოსახსნელად გთავაზობთ მშვენიერ დაბოლოებას ნორჩი მოჭადრაკის შემოქმედებიდან.
ქვემოთ მოყვანილი პოზიცია შეიქმნა 1979 წელს მესამე თა-

ნრივის მოსაპოვებელ ტურნირში.

ბარბიკაშვილი



ცკვიტინიძე

შ წლის ირმა ცკვიტინიძემ განახორციელა მახვილგონივრული ტაქტიკური დარტყმა, რითაც გადამწყვეტი მატერიალური უპირატესობა მოიპოვა. ველით თქვენს პასუხს.


ფრთხილად ავტომობილთა!



განყოფილებას ხელმძღვანელობს საქ. სსრ შსს სახ. ავტონისპექციის სააღრიცხვო-სავა- მოცდო ქვეგანყოფილების სახ. ინსპექტორი პ. კანდალაძე

საკონსტროლო კითხვები:
 ვინც თავიდან ადევნებს ყურადღე- ბით თვალს ჩვენს განყოფილებას, არ გაუჭირდება აქ დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემა. ყველა კითხვა ამა თუ იმ კუთხით გაშუქებული იყო წინა ნომრებში. დააკვირდით სურათს და მოგვწერეთ:

1. მოსწავლეთა რომელი ჯგუფი მი- დის სწორად?
2. რომელი მოსწავლე არღვევს მოძ- რამობის წესს?
3. ამ ნიშანთაგან რომელი იღვამება უშუალოდ გადასასვლელის წინ?
4. რომელმა ძმარღვა უნდა დაუთმოს ზაა?
5. რომელი ძმარღვი უხვევს მარჯვ- ნივ? საით უხვევს ველოსიპედისტი?
6. რომელი გამოსაცნობი ნიშანი უკე- თდება ბავშვების გადასაქვანად გან- კუთვნილ ავტომობილს ან საბჭვიროთ მან- ქანას?



საკითხვანი

ფორჩხიძე შ. — ყოველ ახალ წელს (ლექსი) გარეკ- შამფრიანი ს. — ცხაკაიელი პიონერები მარშის ახალ ეტაპზე	2	გიორგი კაჭახიძე (ნეკროლოგი) აისი	20
გრიგოლაშვილი დ. — უცნაური სტუმარი (მოთხ- რობა, გაგრძელება),	1	შევკრიბოთ ხალხური საუნჯე	22
დავითაძე ი. — მოგვითხრობენ ექსპონატები (წე- რილი)	4	კალასი ტ. — საგანგებო შემთხვევა (მოთხრობა)	24
ლორთქიფანიძე ო. — არქეოლოგიის მნიშვნელობა (წერილი)	11	კოცონი	26
ლიჩელი ვ. — ვანის ნაქალაქარი (წერილი)	12	ჯადოსნური სარკე	29
პაპუაშვილი გ. — შორეული ციალი (ნაწყვეტი რე- მანიდან)	12	ყავლაშვილი შ. — ღია საცურაო აუზი	30
	16	მხედრიონი	30
		ფრთხილად, ავტომობილია!	32
		თამაშობები	გარეკ. 3
		ცხრაკლიტული	გარეკ. 3

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ჯემალ ლოლუასი.



მთავარი რედაქტორი ბაბუღია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუბზარ აფხაზაძე, ზურაბ გოცვაძე, ავთანდილ გურგენი- ძე, დოდო ვადაჭკორი, ბაიროზ ფოცნიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ბიორბი ქლიბაძე, რობერტ ღარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შენდრული, ზურაბ წვერიკაშაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობა
 ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
 ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81
 პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05
 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14
 «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
 Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
 გიდეცა ასაწყობად 26 X 1-79 წ. ხელმოწერილია დისაბეჭდოდ 16/1-80 წ. ქალაქის ფორმატი 60X90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-სავაგანომცემლო თაღები 5,35.
 შეკვ. № 2940. ტირ. 149,800. უფ 10748.

ფასი 20 კაპიკო

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.





პ რ ო ს ვ ო რ დ ი

შეავსეთ სექტორები
შვეულად ისე, რომ 1-
დან მე-16 სექტორის ჩა-
თვლით პასუხების საწყის-
სმა ასოებმა შეადგინოს:
„გილოცავთ ახალ წელს“.

1. მინდვრის უვავილი;
2. მკვახე ყურძენი;
3. მინდვრის შხამიანი ბა-
ლახოვანი მცენარე;
4. მინდვრის პიტნა;
5. ვარ-
დისებრთა ოჯახის ერთ-
ბუტკოიანი მცენარე;
6. უვავილოვანი მგაგარი ჭი-
შის ხე;
7. ოთახის უვავი-
ლი;
8. დასავლეთ საქარ-
თველოში გავრცელებუ-
ლი უნაყოფო ხე;
9. კურ-
კოვანი ხილი;
10. ბაღჩე-
ული ხილი;
11. ტროპი-
კული მცენარე;
12. სუბ-
ტროპიკული მცენარე;
13. მწვანელი;
14. მინდვრის
უვავილი;
15. მცენარე,
რომლისგანაც შექარს ამ-
ზადებენ;
16. უვავილი.

თამარ გოლჭავაძე,
მახარაძის რაიონის ზემო
ნატანების საშუალო სკო-
ლის VI კლასის მოსწა-
ლე.



სამი კვამლი

იატაკზე დგამენ სამ
კვამლს. ორი მოთამაშე
მუსიკის თანხლებით ცე-
კვავს ამ კვამლების ირგვ-
ლივ. განკარგულებაზე
„სდექ“ თითოეული ცდი-
ლობს ორ კვამლს დასტა-
ცოს ხელი. ის, რომელსაც
ერთი კვამლია დარჩება,
დამარცხებულია.



ფხვის თითებით

ერთმანეთს ორნი ეჭიბ-
რებიან. თამაშის მონაწი-
ლეები ფეხზე იხდიან და
დაბალ სკამებზე სხდები-
ან, სკამების წინ იდგმე-
ბა ორ-ორი ლამბაქი და
თითოეულის გვერდით
ეწყობა ხუთ-ხუთი ცალი


რთული ნახტომი

იატაკზე ცარციოთ ხაზი
გაავლე, ანდა თოკი გა-
ჭიმე. დადექი ამ ხაზთან,
წინ დაიხარე, ფეხების
წვერებს ხელი ჩაავლე
და ძლიერი ბიძგით შეე-
ცადე ხაზს გადაახტე. თუ
პირველ ცდაზე არ გამო-
ვივინა, ივარჯიშე, ვიდ-
რე სასურველ შედეგს
მიადწევ.




კაკალი. ამოცანა იმაში
მდგომარეობს, რომ ბავ-
შებმა მარჯვენა ფეხის
თითებით მარჯვნივ მდებ-
არე ხუთი კაკალი გადა-
აწუნ ლამბაქში, ხოლო
მარცხენა ფეხის თითებ-
ით მარცხნივ მდებარე კა-
კლები — მეორე ლამბაქ-
ში.

იმარჯვებს ის, ვინც ამ-
ას უფრო სწრაფად გაა-
კეთებს.



ბ. 23/17

საქართველოს
საბავშვო მხატვრობის
კავშირი



მოსწავლეთა



გაკვეთილზე
თავრიკო თავაძაძე,
7 წლის.

შემთხვევები



კლოუნი რა-
გაზ გერმანოზაშ-
ვილი, კახის რაი-
ონის სოფ. ახალქა-
ლაძი, 11 წლის.



ნორჩი მეთაზაძე.
ელაღა ლარიშვილი, თბი-
ლისის 127-ე საშ. სკოლა,
12 წლის.

სოფელში. თამილა მებრეველი,
თბილისის 127-ე საშ. სკოლა, 12 წლის.



კატარა დინასხლისი. ნათო
ჩაჩუბ, ბათუმის მე-14 საშ. სკოლა, 11
წლის.

რთველი. ნანა მებურიშვილი,
ვანის რაიონის სოფ. კიროვი, 11 წლის.

